

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ხატია ცაბაძე

**ამერიკული ინგლისურის ევოლუცია და მისი გავრცელების ენობრივ-  
პრაგმატიკული ფაქტორები გლობალიზაციის კონტექსტში**

**სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ანგლისტიკის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია დავითიშვილი  
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი**

გორი 2021

## Evolution of American English and Linguo-Pragmatic Factors of Its Expansion in the Context of Globalization

### S u m m a r y

The paper deals with the problem of the evolution and acceptability of American English in the context of globalization. Globalization has triggered many controversial issues in modern linguistics. One of the most important remains the question of a world-wide accepted standard of English, often referred to as the Global/International Standard English. English as a world-language exists in great diversity. Therefore the urgent need for its standardization is felt, which is going to pose many difficult questions to come within the scope of communicative competence between its two major families - a British and an American family. These two families differ in detail, but they also contain very many similarities.

American English begins in Elizabethan time. On the American continent it underwent French, Spanish, Dutch, American Indian, African, North American and some other influences. Gradually a distinctive American English has grown up and become no longer a colonial variant but an equal partner with British English, and a powerful source of innovation and coining.

The research into the status and function of the American English in the global context with regards to its possible evolution into a global standard of the English language provides interesting data. We consider acceptability of a language as one of the parameters in the process on standardization. Acceptability exists as a term in cognitive and applied linguistics where it is defined as a set of language peculiarities which is manifested through a relative simplicity of its grammar, vocabulary and

spelling, thus facilitating its acquisition. Therefore, acceptability can be regarded as a criterion applicable in case of global standardization of one of the variants of the English language. The results of different surveys have proved that American English is easier to be acquired than British English.

## სარჩევი

შესავალი .....	5
----------------	---

### თავი I

#### ინგლისური ენის გლობალიზაცია მსოფლიო გეოპოლიტიკურ სივცეში

§1. ინგლისური ენის გლობალიზაციის განმაპირობებელი ფაქტორები .....	11.
§2. მიგრაციის ეტაპები .....	12..
2.1 ამერიკული სახელმწიფოს შექმნა და მიგრაციის პირველი ტალღა .....	13.
2.2 მიგრაციის მეორე ტალღა და ამერიკული ინგლისურის ფორმირება .....	14.
§3. მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი და ინგლისური ენის როლი ამ პროცესში .....	16.
§4. ინგლისურის, როგორც საერთაშორისო პოლიტიკური ენის სტატუსი .....	18

### თავი II

**ამერიკული ინგლისურის ფორმირების სოცო-კულტურული  
ფაქტორები**

§1. ამერიკული ინგლისური კოლონიალურ პერიოდში	21.....
§2. მიგრაციის მეორე ტალღის გავლენა ამერიკულ ინგლისურზე	.....25.
§3. შერეული ენები და ჩრდილო ამერიკული ინგლისური (კრეოლი და ფიჭინი)	.....26.
§4. შავკანიანთა ინგლისური (Black English)	..... 27
§5. ბრიტანული და ამერიკული ინგლისურის ურთიერთ- გავლენის ძირითადი ფაზები	..... 28

**თავი III**

**ამერიკული ინგლისურის აქცენტუალობა, როგორც  
მისი გლობალიზაციის ერთ-ერთი ფაქტორი**

§1. წინასწარი შენიშვნები	.....30
§2. სტანდარტული ინგლისურის ცნება	.....33
§3. გრამატიკული განსხვავებები ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურში	.....35
3.1 ამერიკულ და ბრიტანულ ზმნებს შორის არსებული განსხვავებები	.....35
3.2 არსებითი სახელებისა და პირის ნაცვალსახელების ფუქციონირების თავისებურებები ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურში	..... 37
3.3 განსხვავებები ამერიკულ და ბრიტანულ წინდებულებს შორის	..... 38

3.4 განსხვავებები არტიკლისა და კავშირების გამოყენებაში ...	40
§4. ლექსიკური განსხვავებები ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურში .....	41
4.1 ბირთვულ სიტყვათა ფონდი .....	42
4.2 საერთო ცნებები და განსხვავებული სიტყვები .....	42
4.3 სიტყვები, რომელთაც არ გააჩნიათ ექვივალენტი .....	45
§5. ამერიკული და ბრიტანული ინგლისურის მართლწერის თავისებურებები .....	46
დასკვნები .....	49
გამოყენებული ლიტერატურა .....	53

## შესავალი

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ამერიკული ინგლისურის ევოლუციის და მისი გავრცელების ენობრივ-პრაგმატიკული ფაქტორების კვლევას გლობალიზაციის კონ-ტექსტში.

**ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:** ამერიკული ინგლისური სათავეს იღებს ელიზაბეტინური დროიდან, რადგან ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ახალმოსახლეები ამერიკის კონტინენტის ატლანტის ოკეანის სანაპი-როებზე პირველად დაახლოებით 1600 წლიდან გამოჩნდნენ. ეს პირველი ახალ-მოსახლეები აღიზარდნენ ინგლისში და მათ ნასწავლი ჰქონდათ მე-16 საუკუნის ინგლისური. აქედან გამომდინარე ინგლისური, რომელიც მათ წაიღეს ახალ მიწაზე, იყო შექსპირის, მარლოუს (Marlowe) და დედოფალ ელიზაბეტ I-ის დროინდელი ენა. დღევანდელი ამერიკული ინგლისური კი საკმაო თვითმყოფადობით ხასიათდება, რაც

განპირობებულია იმ სოციო-კულტურულ და ენობრივ ფაქტორთა მრავალ-ფეროვნებით, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მის ფორმირებაზე.

გვინდა ასევე ყურადღება შევაჩეროთ ტერმინ „გლობალიზაციის“ მნიშვნელო-ბაზე. ერთი მხრივ, იგი გამოიყენება იმ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ცვლილებების აღსანიშნავად, რომელთაც ადგილი აქვს გლობა-ლურად თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურაში. მეორე მხრივ, ამ ტერმინს აქვს მნიშვნელოვანი ლინგვისტური დატვირთვა და იგი მეტწილად გულისხმობს ინგლისური ენის მზარდ გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით, რაც ეკონომიკური და გეოპოლიტიკური გლობალიზაციის თანმხლები ფაქტორია (ლლონტი 2010: 128). უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც ლაპარაკია ინგლისური ენის გლობალიზაციაზე, ჩვეუ-ლებრივად გულისხმობენ მის ამერიკულ ვარიანტს, რაც განპირობებულია ამერიკის შეერთებული შტატების როგორც სუპერსახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური მნიშვნელობით.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ შეერთებული შტატების წამყვანი როლი გლობალიზაციის პროცესში და ამჟამინდელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკული ინგლისური ავტომატურად გადადის მსოფლიო ინგლისურის გლობალურ სტანდარტში. ლინგვისტურ ლიტერა-ტურაში მითითებულია, რომ ამერიკული ინგლისურის სტატუსის კვლევის არეალი არასაკმარისი და წინააღმდეგობრივია, და რომ საჭიროა იმ ენობრივ-პრაგმატიკული და სოციო-ლინგვისტური ფაქტორების კვლევა და წარმოჩენა, რაც განაპირობებს ამერიკული ინგლისურის ასეთ სწრაფ გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით. მკვლე-ვართა აზრით, ამ პროცესში ყველაზე მთავარ საყრდენს ე.წ. „ამერიკანიზაციის მზარდი წრის ქვეყნები“ წარმოადგენენ. ცნობილი სოციოლინგვისტის, კაპრუს აზრით, გლობა-ლიზაციის პროცესმა შეცვალა დამოკიდებულება ენისადმი: ადამიანებმა, ვისთვისაც

ინგლისური მშობლიური ენაა, დაკარგეს პრეროგატივა ეკონტროლებინათ მისი სტან-დარტიზაციის პროცესი, რაც საშუალებას აძლევს ენის მომხმარებლებს პრიო-რიტეტი მიანიჭოს ინგლისურის მისთვის მისაღებ სტანდარტს, ანუ ვარიანტს (Kachru 1992).

ენის საერთაშორისო სტანდარტად აღიარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს კი მისი აქცეპტაბელურობა (“accessibility”), ანუ ათვისებადობა წარმოადგენს, რის გა-მოც ის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელად განიხილება ენის ექსპანსიის პროცესში. ქვირჩისა და უილოუსონის განმარტებით, აქცეპტაბელურობის ძირითად პარამეტრს წარმოადგენს მოცემული ენის ფონეტიკური, მართლწერიითი, ლექსიკურ-სემანტიკური და გრამატიკული მახასიათებლების შედარებითი სიმარტივე, რაც აადვილებს მის ათვისებას (Quirk & Widdowson 1985: 5). ეს არის ნებისმიერი ცივილიზებული ენის მთავარი კომპონენტები, რომლებიც ცვლილებებს განიცდის ერთი კულტურიდან და ენიდან მეორეზე გადასვლისას. შესაბამისად,, მკვლევარები (როგორც ლინგვისტები, ისე მეთოდისტები) ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტორების შესწავ-ლაზე, რომლებიც სირთულეებს უქმნის უცხოელებს ენის დაუფლებაში, და ახდენენ იმ შეცდომების ტიპოლოგიზაციას, რომლებსაც ისინი უშვებენ გამოთქმაში, ორთო-გრაფიაში, გრძელ სიტყვებში, იდიომატიკასა და პოლისემიაში, მორფოლოგიაში, სინტაქსურ სტრუქტურაციაში და რეგისტრის ანუ სტილისტიკურ შეზღუდვებში (Quirk & Widdowson 1985).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი **ნაშრომის მიზანია**, ერთი მხრივ, ამერი-კული ინგლისურის ევოლუციის კვლევა და იმ სოციო-კულტურული ფაქტორების გამოვლენა, რომელთა ერთობლიობამაც განაპირობა მისი, როგორც ინგლისური ენის ყველაზე მნიშვნელოვანი ვარიანტის, ფორმირება. მეორე მხრივ, ჩვენს მიზანს წარ-მოადგენს იმ ენობრივ-პრაგმატიკული თავისებურებების წარმოჩენა, რომლებიც უზ-რუნველყოფს ამერიკული

ინგლისურის შედარებით ადვილ ათვისებადობას, შესა-ბამისად კი მის გლობალურ სტანდარტიზაციას გეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამ-ხედრო. სამეცნიერო-ტექნიკურ და სოციო-კულტურულ ფაქტორთა ერთობლიობის კონტექსტში.

ამასთან დაკავშირებით, ნაშრომში ეტაპობრივად არის გადაჭრილი შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

1. დადგენილია ინგლისური ენის გლობალიზაციის მიზეზები მსოფლიო გეოპოლიტიკურ სივრცეში.
2. აღწერილია ამერიკული ინგლისურის ევოლუცია კოლონიალური პერიო-დიდან დღემდე, რაც გულისხმობს როგორც მიგრაციის პირველი და მეორე ტალღის სოციოკულტურული და საკუთრივ ენობრივი ფაქტორების განზოგადებას, ასევე ყურადღების კონცენტრირებას აბორიგენი (ძირეული) მოსახლეობის ეთნოკულტურულ ზეგავლენაზე.
3. სტანდარტულ ინგლისურზე დაყრდნობით, გამოვლენილი და სისტემაშია მოყვანილი ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის არსებული განსხვავებები გრამატიკის, ლექსიკისა და მართლწერის სფეროებში, რომელთა ერთობლიობაც განაპირობებს ამერიკული ინგლისურის შედარებით მარტივ ათვისებადობას, რაც მისი გლობალიზაციის ერთ-ერთ ფაქტორად განიხილება.

საკვლევ მასალად აღებული გვაქვს ამერიკული და ბრიტანული ინგლისურის სტანდარტული (ანუ, საერთაშორისოდ აღიარებული) ვარიანტი, რომელთა შეპირის-პირებითა ანალიზმაც წარმოაჩინა ის ძირითადი ლექსიკურ-გრამატიკული და მართლწერითი განსხვავებები, რომლებიც ამერიკული ინგლისურის შედარებით მარ-ტივ აქცეპტაბელურობას, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესწავლისუნარიანობას განაპირობებს. ბუნებრივია, რომ განსხვავებები



წარმოთქმაში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ამერიკული ინგლისურის თვითმყოფადობის წარმოსაჩენად, მაგრამ ფონეტიკურ კვლევებთან დაკავშირებული სირთულეების გამო, ჩვენ მხოლოდ ზემოხსენებული სფეროებით შემოვიფარგლეთ.

**სამაგისტრო თემის აქტუალობა** განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. ინგლისური ენა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ენათა რიცხვს მიეკუთვნება. იგი აღიარებულია როგორც საერთაშორისო ნომერი პირ-ველი ენა, ანუ “lingua franca”. შესაბამისად ინტერესს იწვევს ინგლისური ენის გლო-ბალიზაციის მიზეზები.

2. შეერთებული შტატების პოლიტიკურ სარბიელზე დანინაურება საინტერესოს და რელევანტურს ხდის ამერიკული ინგლისურის ფორმირების და მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების კვლევას.

3. ამერიკული ინგლისური ღიაა ყოველგვარი ინოვაციებისათვის, მაშინ როცა ბრიტანეთში ენისადმი კონსერვატიული მიდგომა ჯერ კიდევ ძლიერია. სიტყვებისა და გამონათქვამების ახალი წარმონაქმნები განსაკუთრებით ძლიერი იყო მე-19 და მე-20 საუკუნეების ამერიკაში. ამერიკულ ინგლისურში უხვად მოიძებნება ნასესხები სიტყვები ლათინურიდან, ბერძნულიდან, ამერიკელ ინდიელთა ენებიდან, იტალიუ-რიდან, ფრანგულიდან, ესპანურიდან, ჰოლანდიურიდან. ამერიკელები ცნობილნი არიან თავიანთი გამოგონებებით, ორიგინალურობითა და ინოვაციებით. შესაბამისად ინგლისურისათვის ცნობილი ბევრი ტერმინი არის ამერიკული წარმოშობის.

4. და ბოლოს, ნებისმიერი ენა ევოლუციას განიცდის საზოგადოების განვითარებასთან ერთად. აქედან გამომდინარე, ყველა ენა თავისი არსებობის მანძილზე გულისხმობს გარდუვალ ცვლილებებს ლექსიკურ-გრამატიკულ თუ

მართლწერით სისტემაში. შესაბამისად, ყოველთვის აქტუალურია იმ ცვლილებების კვლევა, რომე-ლიც მსოფლიო მნიშვნელობის ენას ეხება.

**ნაშრომის თეორიულ ღირებულებას და სიახლეს** განაპირობებს პრობლემის კომპლექსური კვლევა და მიღებული შედეგები, რომელთა ერთობლიობაც მეტ-ნაკლები სისრულით წარმოაჩინს, ერთი მხრივ, ამერიკული ინგლისურის ევოლუციას ელიზაბეტიაური დროიდან დღემდე; მეორე მხრივ კი, იმ ლექსიკურ, გრამატიკულ და მართლწერით თავისებურებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ამერიკული ინგლი-სურის აქცენტაბელურობას და გლობალურ სტანდარტიზაციას ბრიტანულთან შედა-რებით. ამით, ჩვენი ნაშრომი ამერიკულ ინგლისურთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს ეხმიანება.

**ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება** იმაში მდგომარეობს, რომ მასში მოცემული მასალა და კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ამერიკული ინგლისურის შემდგომი კვლევისას, ასევე ბრიტანული და ამერიკული ინგლისურის შეპირისპირებითი ანალიზისას.

**ნაშრომის სტრუქტურა** შეესაბამება მის მიზნებსა და ამოცანებს. იგი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. მას თან ერთვის როგორც გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის, ასევე ლექსიკურ ერთეულთა შეპირისპირებითი სია ამერიკულსა და ბრიტანულ ინგლისურს შორის.

**შესავალში** დასაბუთებულია არჩეული თემის აქტუალურობა. განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები. ხაზგასმულია ასევე სამაგისტრო ნაშრომის მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

**პირველ თავში** -”ინგლისური ენის გლობალიზაცია მსოფლიო გეოპოლიტიკურ სივრცეში” მოცემულია ინგლისური ენის განვითარების მოკლე ისტორია და განხილულია მისი გლობალიზაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზები. ამავე თავში განხილულია ამერიკული ინგლისურის წარმოქმნისა და

შემდგომი განვითარების ისეთი ძირითადი სოციოკულტურული ფაქტორები, როგორცაა ბრიტანული კოლონიალიზმი და მიგრაციის პირველი და მეორე ტალღა; მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი - მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი და შეერთებული შტატების პოლიტიკური გავლენის ზრდა.

**მეორე თავში - "ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის არსებულ განსხვავებათა გამომწვევი მიზეზები"** საუბარია ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის არსებულ განსხვავებათა გამომწვევ მიზეზებზე. ამასთან დაკავშირებით განხილულია, ერთი მხრივ, ფრანგული, ესპანური, ჰოლანდიური, მოგვიანებით იტალიური და ჩრდილო ამერიკული ენების გავლენა ამერიკულ ინგლისურზე; მეორე მხრივ, მიმდინარეობს მსჯელობა ამერიკულ ინდიელთა, აფრიკული, ფიჭინისა და კრეოლის გეგავლენაზე. ასევე საუბარია შავკანიანთა ინგლისურის სტატუსის ამაღლებაზე ამერიკულ საზოგადოებასა და განათლების სისტემაში.

**მესამე თავში - "ამერიკული ინგლისურის აქცენტაბელურობა, როგორც მისი გლობალიზაციის ერთ-ერთი ფაქტორი"** - სტანდარტული ინგლისურის საფუძველზე განხილულია ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურს შორის არსებული ძირითადი განსხვავებები გრამატიკის, ლექსიკისა და მართლწერის სფეროში, რომელთა ერთობლიობაც განაპირობებს ამერიკული ინგლისურის შედარებით მარტივ ათვისებადობას. ნაშრომს ლოგიკურად კრავს ქვირქისა და უილოუსონის (Quirk and Widdowson) მიერ განხორციელებული გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რაც თავის მხრივ ადასტურებს ამერიკული ინგლისურის გლობალიზაციის ერთ-ერთ ფაქტორად მისი აქცენტაბელურობის აღიარებას.

**ნაშრომის დასკვნით ნაწილში** ჩამოყალიბებულია კვლევის შემაჯამებელი თეორიული განზოგადებები.

**თავი I**  
**ინგლისური ენის გლობალიზაცია მსოფლიო გეოპოლიტიკურ**  
**სივრცეში**

**§ 1. ინგლისური ენის გლობალიზაციის განმაპირობებელი**  
**ფაქტორები**

ინგლისური ენა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ენათა რიცხვს მიეკუთვნება. ერთი შეხედვით წარმოუდგენლად მოგვეჩვენება, როგორ შეიძლებოდა შედარებით პატარა კუნძულის მცხოვრებთა მშობლიური ენა გამხდარიყო მსოფლიო მნიშვნელობის ენად.

დღეისათვის მსოფლიო საერთაშორისო ენად აღიარებული ინგლისური ენა დაახლოებით 300 წლის წინ მხოლოდ ინგლისელების მშობლიური ენა იყო. იგი მიეკუთვნება გერმანიკულ ენათა ჯგუფს და მას საფუძვლად უდევს ანგლო-საქსების სხვადასხვა დიალექტი, რომელიც გავრცელებული იყო ინგლისის სამხრეთ ნაწილში. 1066 წელს, როდესაც ნორმანდიელმა ფრანგებმა დაიპყრეს ინგლისი, უელსი, შოტლანდია და ირლანდია წარმოდგენდნენ ცალკე ქვეყნებს, რომელთა

მოსახლეობაც საუბრობდა კელტურ ენებზე. იმ დროისთვის ევროპელებისთვის უცნობი იყო როგორც ჩრდილოეთ ამერიკის, ისე ავსტრალიის კონტინენტის არსებობა. ენა, რომელსაც ევროპელი სწავლულები იყენებდნენ წერისა და კომუნიკაციის დროს იყო ლათინური.

შესაბამისად იხადება კითხვა: ასეთ ვითარებაში, რამ განაპირობა ინგლისური ენის გავრცელება მსოფლიო მასშტაბით? ზოგიერთი მკვლევარის აზრით, არსებობს ინგლისური ენის გლობალიზაციის ორი ძირითადი მიზეზი. ესენია: მიგრაცია და კოლონიალური პოლიტიკა (Stevens,1981). დღეისათვის ამ ორ ძირითად მიზეზს დაემატა კიდევ რამოდენიმე ფაქტორი:

---

1) მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი აღმავლობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რამაც ბიძგი მისცა სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევების პუბლიცირებას ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, ბევრი ადამიანი ეუფლება ინგლისურს, რათა გაეცნოს მისთვის საინტერესო ლიტერატურას;

2) ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო და პოლიტიკური გავლენის ზრდა საერთაშორისო სარბიელზე, რამაც განაპირობა ინგლისური ენის აყვანა ერთ-ერთი საერთაშორისო პოლიტიკური ენის სტატუსში;

3) ინგლისური ენის გლობალიზაციის გამომწვევ ფაქტორად შეიძლება ასევე ჩაითვალოს ინტერნეტული რევოლუცია, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა. შედეგად, ინგლისური გადაიქცა ინტერნეტული კომუნიკაციის ერთ-ერთ ძირითად ენად, რომელზედაც კომპიუტერული დისკურსის დაახლოვებით 70 პროცენტი ხორციელდება;

4) ჩვენი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ამერიკული ინგლისურის აქცენტუალობა ანუ იოლი ათვისებადობა, რაც განპირობებულია ბრიტანულთან შედარებით მისი სიმარტივითა და მოქნილობით.

ამრიგად, ინგლისური ენის გლობალიზაციის გამომწვევ ფაქტორებად განვიხილავთ მიგრაციას და კოლონიალურ პოლიტიკას, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესს,

კომპიუტერულ რევოლუციას, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენის ზრდას მსოფლიო მასშტაბით და მის აქცეპტაბელურობას.

---

## § 2. მიგრაცია

მიგრაციაში, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, ვგულისხმობთ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ხალხის გადაადგილებას ბრიტანული კუნძულებიდან ჩრდილოეთ ამერიკის, ავსტრალიის და ახალი ზელანდიის მიმართულებით. ევროპიდან შორს მდებარე ქვეყნებში, ევროპული ენები (მათ შორის ინგლისურიც), გამოიყენებოდა ორი ფუნქციური დანიშნულებით:

- 1) როგორც ემიგრანტთა მშობლიური ენა;
- 2) როგორც ენა, რომლის მეშვეობითაც ვაჭრები მართავდნენ თავიანთ ბიზნესს.

### 2.1 ამერიკული სახელმწიფოს შექმნა და მიგრაციის პირველი ტალღა

ევროპელების პირველი შეხება ჩრდილოეთ ამერიკის აბორიგენ მოსახლეობასთან, ანუ ამერიკელ ინდიელებთან, მოხდა 1492 წელს, როდესაც გენუელი მკვლევარი ქრისტოფერ კოლუმბი ესპანეთის სამეფოს სახელით მიაღწა კარიბის კუნძულებს. მისმა მოგზაურობამ ახალი სამყაროს აღმოსაჩენად დააჩქარა ევროპული დასახლებების წარმოშობა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე. ესპანელებმა დაიკავეს მექსიკის ტერიტორია, თრანგებმა კი ჩრდილოეთ ამერიკის ცენტრალური ნაწილი.

პირველი წარმატებული ინგლისური დასახლებები ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე მე-17 საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. 1607 წელს ჩამოყალიბდა ვირჯინიის

კოლონია (The Virginia Colony), მოგვიანებით კი, 1620 წელს, შეიქმნა ფლიმუთის კოლონია (The Plymouth Colony). დაახლოებით ამ პერიოდიდან იწყება ინგლისელთა მასიური მიგრაცია ამერიკის კონტინენტის მიმართულებით. 1614 წლის დასაწყისში ჰოლანდიელები დასახლდნენ მდინარე ჰადსონის გასწვრივ, მანჰეტენის კუნძულის ჩათვლით. მაგრამ მალევე, 1674 წელს, ჰოლანდიელებმა თავიანთი ამერიკული ტერიტორიები დაუთმეს ინგლისელებს, რომლებმაც თავიანთ პროვინციას “New York” (“ახალი იორკი”) უწოდეს. თავდაპირველად, ემიგრანტთა უმეტესობას შეადგენდა შინა მოსამსახურეები, რომლებიც მოგვიანებით ჩაანაცვლეს აფრიკელმა მონებმა.

1729-1732 წლებში შეიქმნა 13 ბრიტანული კოლონია, საიდანაც მოგვიანებით წარმოიშვა ამერიკის შეერთებული შტატები. 1775 წელს ხსენებული კოლონიები აჯანყდნენ ბრიტანეთის სამეფოს მმართველობის წინააღმდეგ. ეს აჯანყება ა.შ.შ. -ის ისტორიაში ცნობილია ამერიკის რევოლუციის სახელწოდებით. ამ პერიოდში ამერიკის მოსახლეობის 85%-ს შეადგენდა თეთრკანიანი მოსახლეობა. მათგან 8.8 % იყვნენ გერმანელები, 3.5% – ჰოლანდიელები, დანარჩენი კი – ბრიტანელები (ინგლისელები, ირლანდიელები, უელსელები და შოტლანდიელები). ამერიკული ბრიტანული კოლონიების დაპირისპირება ბრიტანეთის მმართველობასთან დასრულდა ამერიკის უპირატესობით. 1776 წლის 4 ივლისს კონგრესის მიერ მიღებულ იქნა დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომლის შედგენაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის ტომას ჯეფერსონს. 1783 წელს დაიდო პარიზის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც დიდმა ბრიტანეთმა აღიარა 13 ამერიკული კოლონიის დამოუკიდებლობა. 1789 წელს კი ჯორჯ ვაშინგტონი არჩეულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების პირველ პრეზიდენტად.

სამაგისტრო ნაშრომის თემიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ პორტუგალიელი, ესპანელი, ფრანგი, ჰოლანდიელი თუ ბრიტანელი ახალმოსახლეები საკუთარ თავს კვლავ მშობლიური ქვეყნის მოქალაქეებად მიიჩნევდნენ, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით, ნებით თუ იძულებით, აღმოჩნდნენ ამერიკის კონტინენტზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავდაპირველად ისინი სუფთა სახით ინარჩუნებდნენ მშობლიურ ენას, მაგრამ რაც უფრო მეტად დამოუკიდებელი ხდებოდა ახალმოსახლეთა დასახლებები უცხო მიწაზე, მით უფრო მეტად იკვეთებოდა ცვლილებები

მათ მშობლიურ ენაში. მაგალითად, მათ ლექსიკონში გაჩნდა ბევრი ნასესხები სიტყვა ადგილობრივი ცხოველების, მცენარეებისა თუ წეს-ჩვეულებების აღსანიშნად; ანუ ეს იყო სიტყვები ისეთი რეაქციების აღსანიშნავად, რომლებიც მათ ენობრივ სინამდვილეში არ არსებობდა. გარდა ამისა, ემიგრანტები საუბრის დროს ხშირად მიმართავდნენ ადგილობრივ გამოთქმებს. დროთა განმავლობაში მათი აქცენტიც სხვა ელფერს იძენდა. ცნობილია, რომ ნებისმიერი ენა ევოლუციას განიცდის საზოგადოების განვითარებასთან ერთად. აქედან გამომდინარე, ყველა ენა თავისი არსებობის მანძილზე გულისხმობს გარდუვალ ცვლილებებს დროში. ჩვეულებრივად, ენის ეს ბუნებრივი ცვლილებები ძალიან ნელა მიმდინარეობს, რის გამოც ადამიანთა უმრავლესობა ვერც კი ამჩნევს მათ. მაგრამ ემიგრანტთა ენა უფრო სწრაფ ცვლილებებს განიცდიდა ახალ გარემოში და უცხო ტერიტორიაზე, ვიდრე მშობლიურ მიწაზე.

## **2.2. მიგრაციის მეორე ტალღა და ამერიკული ინგლისურის ფორმირება**

თუ დავაკვირდებით ხალხთა მიგრაციის ისტორიას ამერიკის შეერთებული შტატების მიმართულებით, შევამჩნევთ, რომ XVII-XX საუკუნეებში მიგრაცია გულისხმობდა უფრო ცალკეული პირების და ოჯახების გადაადგილებას უცხო მიწაზე, ვიდრე ერების თუ ხალხთა მასების. სოციოლოგების აზრით, მიგრაციის ძირითადი მოტივი იყო მძიმე ეკონომიკური წნეხი, თუმცა რელიგიამ და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების სურვილმაც დიდი როლი ითამაშა საერთაშორისო მიგრაციის ისტორიაში.

თანამედროვე მიგრაციის მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა ძალიან სწრაფად იზრდება და ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელია. ამ მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან ხდება ხალხთა მიგრაცია ამერიკის მიმართულებით. აქედან გამომდინარე ა.შ.შ.-ში თავს იყრის სხვადასხვა კულტურისა და ენის მატარებელი ხალხი. მიუხედავად ამისა, ძირითადი კულტურული



მიმდინარეობა ევროპულ ხასიათს ატარებს, რაც ევროპელი ემიგრანტების დიდი გავლენის შედეგია; საკომუნიკაციო ენას კი ინგლისური წარმოადგენს. ამავდროულად, ინგლისური ენის თითქმის 400 წლიანმა კონტაქტმა სხვა ენებთან და კულტურებთან ამერიკის კონტინენტზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა თავად ინგლისურ ენაზე, რამაც განაპირობა მისი დიფერენცირება ორ ძირითად ვარიანტად, რომლებიც ლინგვისტურ ლიტერატურაში ბრიტანული ინგლისურის (British English) და ამერიკული ინგლისურის (American English) სახელწოდებით მოიხსენიება.

ხალხის უმეტესობა მიიჩნევს, რომ არსებობს ნებისმიერი ენის ერთადერთი ფორმა, რომლის დაყოფა სხვადასხვა ენებად შეუძლებელია. მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიოში გავრცელებულ ათასობით ენას აქვს არა მხოლოდ ერთი ფორმა, არამედ ფორმათა ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ. ენის ეს ფორმები ცნობილია ვარიანტების სახელწოდებით. სხვადასხვა ენას სხვადასხვა კონკრეტული ვარიანტები განეკუთვნებიან. მაგალითად, ამერიკული და ბრიტანული ინგლისური წარმოადგენს ინგლისური ენის ვარიანტებს, პუერტო-რიკული და კასტილიური ესპანური კი – ესპანური ენის ვარიანტებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ენა გულისხმობს მის სხვადასხვა ვარიანტებს, რომელთა არსებობაც ჩვეულებრივ ყველა ენისთვის არის დამახასიათებელი.

რაც უფრო ფართოდ არის ენა გავრცელებული მსოფლიოში, მით მეტია რისკობრივად მოცემული ენის ვარიანტები. ენა, რომელსაც იყენებს ხალხის მცირერიცხოვანი ჯგუფი, ხასიათდება ვარიანტების სიმცირით. უაღრესად საინტერესოა ამ მიმართებით ინგლისური ენის განხილვა, რომელსაც მილიონობით ადამიანი იყენებს სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ეს კი თავის მხრივ განაპირობებს ინგლისური ენის სხვადასხვა ვარიანტების არსებობას. თუმცა რეალურად არაფერი გვეცოდინება ამ ვარიანტების შესახებ, სანამ პირადად არ აღმოვჩნდებით ფაქტის წინაშე. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბრიტანეთში, კანადასა თუ ავსტრალიაში ყოველწლიურად ჩასული ათიათასობით უცხოელი ტურისტი და სტუდენტი კომუნიკაციის პროცესში აღმოაჩენს, რომ ის ინგლისური, რომელიც მათ ისწავლეს სკოლასა თუ სხვა საშუალებებით, განსხვავდება ადგილობრივი, ცოცხალი ინგლისურისგან. ასეთი გამოცდილება აფიქრებინებს მათ, რომ მხოლოდ

მოქალაქეთა უმცირესობა იყენებს ინგლისური ენის სტანდარტულ, საერთაშორისო ვარიანტს, თუმცა მათ მეტყველებამაც აშკარად გამოიკვეთება მოცემული ქვეყნისათვის დამახასიათებელი სპეციფიური ენობრივი ფორმები, რომელთა ერთობლიობაც ქმნის ინგლისური ენის ისეთ ვარიანტულობას, როგორც არის ამერიკული, ბრიტანული, ავსტრალიური, ახალი ზელანდიური, ინდური და სხვა ვარიანტები. უფრო მეტიც, ინგლისური ენის რომელიმე კონკრეტულ ვარიანტში ხშირად გამოიყოფა მისი ქვე-ვარიანტები, რომლებიც განპირობებულია ენის კომუნიკაციურ-ფუნქციური დანიშნულებით და სიტუაციურობით.

### **§ 3. მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი და ინგლისური ენის როლი ამ პროცესში**

საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ ინგლისური მიჩნეულია ნომერ პირველ საერთაშორისო ენად. ამის გამომწვევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი არის ის, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სხვადასხვა დარგში არსებული ექსპერიმენტების და მიღწევების პუბლიცირება ხდება ინგლისურ ენაზე. ინგლისურის გარდა, მსგავსი ფუნქცია აქვს კიდევ რამოდენიმე ენას: რუსულს, გერმანულს, ფრანგულს, ესპანურს და ჩინურს, რომლებიც საერთაშორისო ენებს წარმოადგენენ მეცნიერების დარგში. მაგრამ დღესდღეობით ინგლისური ენა პირველ ადგილზეა მოცემულ ენებს შორის. გამომდინარე აქედან, არ არის გასაკვირი, რომ ინგლისურის, როგორც უცხოური ენის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვისაც სურს გაეცნოს თანამედროვე მიღწევებს

მეცნიერების დარგში. შესაბამისად ჩვენთვის საინტერესოა “სამეცნიერო ინგლისურისათვის” დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

რა არის “სამეცნიერო ინგლისური”? იგი არის ერთობა ინგლისური ენის იმ ნიშან-თვისებებისა, რომელსაც იყენებენ პროფესიული მიზნით მეცნიერები თუ სხვა სპეციალისტები. სამეცნიერო ინგლისურში ყოველთვის გამოიყენება სტანდარტული ინგლისური – მეტყველებისას ის არ ხასიათდება განსაკუთრებული აქცენტით, არც მართლწერაა განსხვავებული. თუმცა არსებობს ისეთი სიტყვები, რომელთაც გააჩნიათ ალტერნატიული ფორმები. მაგ.: tyre : tire; grey : gray; draft : draught; connexion : connection; plow : plough.

ხშირად ალტერნატიული ფორმების არსებობას განაპირობებს ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურს შორის არსებული განსხვავებები. წერისას ხშირად პრობლემას ქმნის ისეთი სიტყვები, როგორცაა “principle” და “principal”; “practice და to practice”. სამეცნიერო ინგლისურში მართლწერაზე მსჯელობისას საჭიროა გავითვალისწინოთ მრავლობითი რიცხვის წესებიც. როგორც ცნობილია, ინგლისურ ენაში მრავლობითი რიცხვი ძირითადად იწარმოება მხოლოდით რიცხვში დასმულ არსებით სახელზე -s ან -es ბოლოსართის დამატებით (მაგ.: “car”-“cars”, “potato”-“potatoes”). თუმცა არსებობს ისეთი სიტყვებიც რომელთაც მხოლოდით და მრავლობით რიცხვში ერთი და იგივე ფორმა აქვთ. მაგალითად, “sheep”-“sheep”, “deer”-“deer”. ზოგიერთი სიტყვა კი მრავლობით რიცხვს აწარმოებს ისე, როგორც ეს ორიგინალ ენაშია მიღებული. ამის მაგალითად გამოდგება ლათინურიდან შემორჩენილი სიტყვები: “datum”-“data”; “phenomenon” – “phenomena” და ა.შ.

სამეცნიერო ინგლისურში გამოიყენება როგორც გრამატიკული ლოგიკური ერთეულები (if, unless, although, whenever, და ა.შ.), ასევე მთელი რიგი მათემატიკური და სხვა სიმბოლოები და, რა თქმა უნდა, დიდი რაოდენობით სპეციფიური ლექსიკა, რომლის უმეტესი ნაწილი ლათინურიდან და ბერძნულიდან არის ნასესხები. მაგალითად, მეცნიერულ ტექსტებში გამოიყენება ბერძნულიდან და ლათინურიდან ნასესხები პრეფიქსები: “anti-“, “auto-“, “contra-“, “micro-“, “poly-“ და სხვა; სიტყვის ძირები: “calor”, “chrono”, “geo”, “tele”, “zoo” და სხვა; სუფიქსები: “-able”, “-ation”, “-ic”, “-logy”, “-meter” და

სხვა მრავალი. ლექსიკა, რომელიც გამოიყენება სამეცნიერო ინგლისურში, ქმნის ე.წ. “ქვე-ენას”, რომელიც საერთაშორისო ხასიათს ატარებს, რადგან იგი შეიცავს ისეთ სიტყვებს (მაგ.: “ether”, “electron”, “seismic”, და ა.შ.), რომლებიც ბევრ ენაში არსებობს უმნიშვნელო სახეცვლილებებით.

ამ თემაზე კიდევ დიდხანს შეიძლება მსჯელობა, მაგრამ ჩვენი თემის მიზნიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერული იდეებისა და ფაქტების გადმოსაცემად ბრიტანული და ამერიკული ინგლისური ერთმანეთის მსგავსად მოქმედებენ. თუმცა არსებობს სტილისტური უპირატესობები ზოგიერთ საკითხთან მიმართებაში (მაგალითად, სოციალურ მეცნიერებათა დარგში ამერიკელები მიიჩნევენ, რომ ბრიტანული პუბლიკაციები არ არის საკმარისად ტექნიკური და მეცნიერული, მაშინ როდესაც ბრიტანელები თვლიან, რომ ექვივალენტური ბრიტანული პუბლიკაციები სავსეა ჟარგონებით, რომელთა მიღმაც ისინი გულისხმობენ შეუფერებელ ტექნიკურ ტერმინებს), მაგრამ ეს უთანხმოებები უმნიშვნელოა იმ მსგავსებათა ფონზე, რაც არსებობს ბრიტანულ და ამერიკულ სამეცნიერო ინგლისურს შორის.

#### **§ 4. ინგლისურის, როგორც საერთაშორისო პოლიტიკური ენის სტატუსი**

ინგლისური ენა არის თანამედროვე “lingua franca”. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფრანგული ენა თანდათან შეცვალა ინგლისურმა, და ამ უკანასკნელმა საბოლოოდ მოიპოვა საერთაშორისო დიპლომატიაში წამყვანი ენის სტატუსი. ინგლისური ენის წინა პლანზე წამოწევა დაიწყო 1919 წლიდან, პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ვერსალის ხელშეკრულება შედგენილ იქნა ორ ენაზე – ინგლისურად და ფრანგულად. იმ დროისათვის ინგლისური და ფრანგული გახლდათ დიპლომატიის

ორი ძირითადი ენა. ინგლისური ენის მსოფლიო მასშტაბით გავრცელებაში დიდი წვლილი მიუძღვით ინგლისურენოვან სახელმწიფოებს. ინგლისური დღესდღეობით არის ერთ-ერთი ოფიციალური ენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სადაც სულ ექვსი ოფიციალური ენაა: ინგლისური, ფრანგული, რუსული, ესპანური, ჩინური და არაბული. მაგრამ ამათგან ორი, ინგლისური და ფრანგული, არის სამუშაო ენები.

ინგლისური ენა, როგორც მოგეხსენებათ, არის გაერთიანებული სამეფოს დომინანტი ენა. 1801-1922 წლებში, როცა ბრიტანული კოლონიალური პოლიტიკა ძლიერ ხასიათს ატარებდა, ინგლისური წარმოადგენდა “ლინგვა ფრანკას” ბრიტანეთის იმპერიის კოლონიებში (ავსტრალია, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, კანადა, ინდოეთი, მალაიზია, ახალი ზელანდია, ნიგერია, პაკისტანი, სინგაპური, სამხრეთ აფრიკა, შრი-ლანკა), დღევანდელი ბრიტანეთის ტერიტორიებზე (ბერმუდა, ფოლკლენდის კუნძულები და წმინდა ელენე), წინარე ბრიტანულ ტერიტორიებზე (ჰონგ-კონგი), ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ფილიპინებზე.

ინგლისური ენის გამოყენება ინგლისურენოვან ქვეყნებს გარეთ განაპირობა სხვადასხვა ფაქტორმა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, ინგლისურის ფართოდ გავრცელება განაპირობა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო, ეკონომიკურმა და კულტურულმა უპირატესობებმა. მაგრამ ინგლისურის საერთაშორისო სტატუსი გამომწვეულ იქნა, ერთის მხრივ იმით, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიის დარგში მიღწეული სიახლეების პუბლიცირება ხდება ინგლისურ ენაზე; მეორეს მხრივ კი, ინგლისური ენა გახდა საერთაშორისო ინსტიტუტების წამყვანი ენა, მაგალითად გაერთიანებული ერების მიერ ჩატარებულ სესიებზე ადგილებისა და სიტყვით გამოსვლის რიგი დადგენილია ინგლისური ენის ანბანის მიხედვით.

ევროპამ ინგლისური ენის დომინანტურობა აღიარა 1995 წელს, როცა ინგლისური, ფრანგულ და გერმანულ ენებთან ერთად, გახდა ევროკომისიის (European Commission) ერთ-ერთი სამუშაო ენა. ინგლისური ენის მეორე ენად სწავლების ტრადიციამ და გენეტიკურმა სიახლოვემ ეროვნულ ენებთან, განაპირობა ის, რომ ინგლისური ენა, როგორც “ლინგვა ფრანკა”(Lingua franca), ფართოდ გამოიყენება ჰოლანდიაში, დანიაში, შვეიცარია და ნორვეგიაში. აღსანიშნავია, რომ სკანდინავიური ენები ორმხრივად გასაგებია,

რის გამოც დანიელები, ნორვეგიელები და შვედები კომუნიკაციას თავისუფლად ამყარებენ თავიანთ მშობლიურ ენაზე, თუმცა საუბრისას ხშირად მიმართავენ ინგლისურ სიტყვებსა და გამოთქმებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური ენა არის საერთაშორისო ბიზნესისა და ავიაციის და რაც მთავარია ინტერნეტის ენა.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი საერთაშორისო ინსტიტუტებისა, სადაც ინგლისური ენა წარმოადგენს ძირითად სამუშაო ენას.

Institutions	Languages
Commonwealth of Nations	English
Council of Europe	English French
International Criminal Court (ICC)	English, French Arabic, Chinese, Russian and Spanish (English and Spanish are working languages)
International labor organization (ILO)	English, French and Spanish
International Monetary Fund (IMF/FMI)	English(conferences have simultaneous interpretation into French, Spanish, Arabic Japanese, Chinese and Russian)
International Olympic Committee (IOC/CIO)	English and French. Other working languages: Spanish, German, Russian, Arabic (the last two only during the annual session)
International Telecommunication Union (ITU)	English, French and Spanish
Inter-Parliamentary Union (IPU)	English and French
Organization for Economic Co-operation and Development(OECD/OCDE)	English, French
Organization of the Islamic Conference (OIC/OCI)	Arabic, English and French
United Nations (UN)	English, French, Chinese, Russian, Spanish and Arabic
European Union (EU/UE)	English, French, Bulgarian, Czech, Danish, Dutch, Estonian, Finish, German, Greek, Hungarian, Irish, Italian, Lithuanian, Maltese, Polish, Portuguese, Romanian, Slovak, Slovene, Spanish and Swedish (English, French and German are selected working languages)
World Bank (WB)	English(conferences also have simultaneous interpretation into French, Spanish, Arabic, Chinese, Russian)
World Trade Organization (WTO/OMC)	English, French and Spanish
Organization for Security and Cooperation in Europe	English, French, German, Spanish, Italian and Russian

(OSCE)	
North Atlantic Treaty Organization (NATO)	English and French

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წლების განმავლობაში ინგლისური ენა სხვადასხვა გზით ვითარდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ბრიტანეთში, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია ინგლისური ენის ორი ძირითადი ვარიანტის ჩამოყალიბება. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკური, მართლწერის, პუნქტუაციისა და იდიომების გამოყენების თვალსაზრისით. არსებობს მცირე ჯგუფი სიტყვებისა, რომელთაც აქვთ აბსოლუტურად სხვადასხვა მნიშვნელობები ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურში. აღსანიშნავია, რომ ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურს შორის არსებულ განსხვავებებს პირველად ფორმალური სახე მისცა ნოე ვებსტერმა. მან 1828 წელს შეადგინა ამერიკული ლექსიკონი, რათა დემონსტრირება მოეხდინა იმ ფაქტისა, რომ ხალხი ბრიტანეთსა და ამერიკაში ლაპარაკობენ განსხვავებული ინგლისური დიალექტებით. სწორედ ამ განსხვავებებმა ათქმევინა ჯორჯ ბერნარდ შოუს: “The United States and The United Kingdom are two countries divided by a common language.” ოსკარ უაილდმა კი თქვა: “We have really everything in common with America, except, of course, the language.”

## თავი II

### ამერიკული ინგლისურის ფორმირების სოციოკულტურული ფაქტორები

#### § 1. ამერიკული ინგლისური კოლონიალურ პერიოდში



ამერიკული ინგლისური სათავეს იღებს ელიზაბეთიანური დროიდან, რადგანაც ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ახალმოსახლეები ამერიკის კონტინენტის ატლანტის ოკეანის სანაპიროებზე დაახლოებით 1600 წლიდან გამოჩნდნენ. ეს პირველი ახალმოსახლეები აღიზარდნენ ინგლისში და, ბუნებრივად, რომ მათ ნასწავლი ჰქონდათ მე-16 საუკუნის ინგლისური. თანამედროვე მოსწავლეები და სტუდენტები ელიზაბეტის დროინდელ ინგლისურს ეცნობიან შექსპირის პიესების მეშვეობით. შედეგად ისინი ვარაუდობენ, რომ შექსპირი ინგლისური ტიპური იყო ელიზაბეტის დროინდელი ინგლისელებისათვის. მაგრამ ფაქტია, რომ იმ დროის ინგლისური ენა ხასიათდებოდა აქცენტებისა და დიალექტების უფრო მეტი მრავალფეროვნებით, ვიდრე თანამედროვე ბრიტანული ინგლისური (Mencken 1967). ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ამერიკულ ინგლისურს საფუძვლად უდევს ინგლისური ენის არა რომელიმე კონკრეტული სტანდარტული ფორმა, არამედ ლოკალური აქცენტების და დიალექტების ფართო კოლექცია. ამავდროულად, ამერიკულმა ინგლისურმა ჯერ კიდევ კოლონიალურ პერიოდში რამდენიმე მნიშვნელოვანი სოციოკულტურული გავლენა განიცადა.

#### ა) ამერიკულ ინდიელთა გავლენა

ამერიკის კოლონიალურ პერიოდში, ინგლისური ენის პირველ და მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ბრიტანულ ინგლისურში ადგილობრივი მცენარეების, ცხოველებისა და წეს-ჩვეულებების აღმნიშვნელი ტერმინების შემოღება. ასეთი სიტყვებისა და გამოთქმების ძირითად წყაროს წარმოადგენდა ამერიკულ ინდიელთა ენები. ამერიკულ ინდიელთა ენებიდან ნასესხები სიტყვებია:

“Chipmunk”	“skunk”
“hickory”	“squaw”
“hooch”	“tepee”
“igloo”	“tomahawak”
“kayak”	“totem”
“moose”	“wigwam”

## ბ) ფრანგული ენის გავლენა

ამავე პერიოდში ამერიკულ ინგლისურში გაჩნდა ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვები, რაც შედეგია კულტურებს შორის კონტაქტისა. კერძოდ, ინგლისური ენის მატარებელთა კონტაქტმა ფრანგებთან გამოიწვია ფრანგული სიტყვების დამკვიდრება ამერიკულ ინგლისურში. ზოგიერთი ამ სიტყვებიდან ჯერ ფრანგებმა ისესხეს ამერიკელი ინდიელებისგან და შემდეგ ინგლისელებმა, ზოგი კი პირდაპირი გზით იქნა ნასესხები ფრანგულიდან ინგლისურში.

“apache”	“chowder”
“brave”	“depot”
“brioche”	“portage”
“bureau”	“prairie”
“cache”	“pumpkin”
“caribu”	“rapids”

## გ) ესპანური ენის გავლენა

კიდევ ერთი ევროპული სახელმწიფო, რომელმაც დაიკავა ჩრდილოეთ ამერიკის დიდი ნაწილი კოლონიალურ პერიოდში, იყო ესპანეთი. შესაბამისად არც ესპანურ ოკუპაციას ჩაუვლია უკვალოდ. ამერიკულ ინგლისურში გაჩნდა დიდი რაოდენობით ესპანური სიტყვები. მაგალითად:

“adobe”	“creole”	“patio”	“sierra”
“bonaza”	“hacienda”	“plaza”	“sombbrero”
“bronco”	“lariat”	“pronto”	“stampede”
“cockroach”	“lasso”	“ranch”	“vigilante”
“corral”	“mustang”	“rodeo”	

## დ) ჰოლანდიური ენის გავლენა

როგორც აღვნიშნეთ პირველ თავში, ნიუ-იორკი იყო პირველი ჰოლანდიური კოლონია, სახელად ნიუ-ამსტერდამი. ჰოლანდიელთა ბატონობა იყო საკმაოდ ხანგრძლივი იმისათვის, რომ ზეგავლენა მოეხდინა ამერიკულ ინგლისურზე. ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვები სწორედ ჰოლანდიურიდან არის ნასესხები კოლონიალურ პერიოდში:

“bedspread”

“sleigh”

“boss”

“waffle”

“Santa Claus”

დროთა განმავლობაში ამერიკელი ინდიელები, ისევე როგორც ფრანგები, ესპანელები და ჰოლანდიელები გაერთიანდნენ ა.შ.შ.-ში. თითოეულმა ამ ენამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ამერიკული ინგლისურის განვითარებაში (Mencken, 1967)

### ე) აფრიკული გავლენა

ემიგრანტთა ძალზე დიდ ნაწილს აფრიკელი მონები შეადგენდნენ. მიუხედავად ამისა, მათი გავლენა ამერიკულ ინგლისურზე გაცილებით ნაკლებად შეინიშნება, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო მათი რიცხოვრივი სიმრავლიდან გამომდინარე. ეს განპირობებული იყო სამი ძირითადი მიზეზი:

1) აფრიკელი მონები არ მიეკუთვნებოდნენ რომელიმე ერთ კონკრეტულ ტომს, რის გამოც მათი გეოგრაფიული და ლინგვისტური წარმომავლობა განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო აფრიკულ ენებს დიდი ზეგავლენა მოეხდინათ ამერიკულ ინგლისურზე, მაშინ როცა პარალელურად არსებობდა ძლიერი ესპანური, გერმანული, ჰოლანდიური, იტალიური და სხვა ენობრივი საზოგადოებები. ქვემოთ ჩამოთვლილია აფრიკელი მონების ის ენები, რომლებიც მათ მოიტანეს ამერიკის კონტინენტზე. ფრჩხილებში კი მოცემულია მათი წარმოშობის ადგილი.

“Wolof” (Senegal and Gambia)

“Bambara” (Mali and the former French West Africa)  
“Mende“ (Sierra Leone)  
„Mandinka“ ( Gambia)  
„Fula” (Mali and Northern Nigeria)  
“Vai “(Liberia)  
“Hausa” (northern parts of Nigeria)  
“Kongo” (Kinshasa and Angola)  
“Kimbundu” and “Umbundu” (Angola)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფრიკული ენები სრულ გაუფასურებას განიცდიდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ბრაზილიაში კი სიტუაცია განსხვავებული იყო; დასავლეთ აფრიკული ენა იორუბა (Yoruba) გადარჩა, თუმცა რამდენადმე სახეშეცვლილი ფორმით.

2) აფრიკიდან იძულებით გადმოსახლებული ემიგრანტები იყვნენ მონები. შესაბამისად მათი კულტურა, ადათ-წესები და ენა არ წარმოადგენდა რაიმე ფასეულობას კოლონიალისტებისათვის.

3) აფრიკელი მონების შვილებსა და მათ შემდგომ შთამომავლობას თვითონ უხდებოდათ ინგლისური ენის შესწავლა ორი ფაქტორის გამო: ა) ბატონებთან კომუნიკაციის მიზნით, ბ) ინგლისური ენა წარმოადგენდა მათ ”ლინგვა ფრანკას”, ე.ი. ენას, რომლის მეშვეობითაც საკუთრივ აფრიკელი მონები ამყარებდნენ კომუნიკაციას ერთმანეთში. აფრიკელი მონების ”ლინგვა ფრანკას” მოსმენა შესაძლებელი იყო პლანტაციებსა და ზანგების გარეუბნებში. მიუხედავად ყველაფრისა, რამოდენიმე აფრიკული წარმოშობის სიტყვა მაინც გადარჩა ამერიკულ ინგლისურში. ესენია:

“gumbo” (a stew, soup)  
“hoodoo” (a curse or spell)  
“okra” (a vegetable)  
“voodoo” (a cult)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფრიკული ენების ზეგავლენა ამერიკულ ინგლისურზე ნასესხები სიტყვების მხრივ ნაკლებად შეიმჩნევა. მაგრამ ამ ფაქტმა არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ ”შავი ამერიკისათვის” არ არის დამახასიათებელი ინგლისური ენის მათი საკუთარი ფორმა. პირიქით, ომის შემდგომ პერიოდში ეთნიკური ცნობიერების წინა

პლანზე წამოწევამ განაპირობა ამერიკელი ზანგების ინგლისურის დაშორება სტანდარტული ინგლისური ენისაგან. "Black English"-ის არსებობა რეალობაა, თუმცა ამ საკითხს დანვრილებით მოგვიანებით დავუბრუნდებით.

## § 2. მიგრაციის მეორე ტალღის გავლენა ამერიკულ ინგლისურზე

მე-19 საუკუნიდან დღემდე, ამერიკის შეერთებული შტატები ითვლება მილიონობით ემიგრანტის მიზნად და თავშესაფრად. მათი უმრავლესობა ინგლისურ ენას წინასწარ ეუფლება. ემიგრანტები, როგორც წესი, ზეგავლენას ახდენენ ამერიკულ საზოგადოებაზე თავიანთი პიროვნულობით, შრომითა და ნიჭით, მაგრამ არა თავიანთი ენით. თუმცა, არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როცა ემიგრანტთა ენას კვალი დაუტოვებია ამერიკულ ინგლისურში ნასესხები სიტყვების სახით. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია იტალიური ენა. იტალიელებმა ამერიკაში თან მოიტანეს საჭმლის მომზადების სტილი, რომელიც ცნობილი გახდა არა მარტო ამერიკაში, არამედ მთელს მსოფლიოში. შესაბამისად იტალიური სიტყვები "pizza", "minestrone", "spaghetti" ფართოდ გავრცელდა ამერიკულ ინგლისურში. საკვების აღმნიშვნელი ნასესხები სიტყვები კულინარიის დარგში ქმნიან ლექსიკის განსაკუთრებულ შრეს, კატეგორიას. ზოგიერთ შემთხვევაში, ორ ენას შორის კავშირის დასამტკიცებლად ალიბი სწორედ კულინარიის დარგში ნასესხები სიტყვებით არის შესაძლებელი.

უამრავი სიტყვაა ნასესხები ამერიკულ ინგლისურში გერმანული ენიდან.

"Beer garden"	"noodle"
"Delicatessen"	"poker"
"frankfurter"	"pumpernickel"
"hamburger"	"schnitzel"
„lager“	„semester“
„liverwurst“	„seminar“

გვინდა ყურადღება შევაჩეროთ საყოველთაოდ გავრცელებულ სიტყვაზე „ჰამბურგერი“. გერმანიაში ჰამბურგერის გამოგონებას თან მოყვა მისი აღმნიშვნელი

სიტყვის შემოტანა - "hamburger", რომელიც გვიჩვენებს ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის არსებულ განსხვავებებს. ჰამბურგერის ინგლისური განმარტება შემდეგნაირად უღერს:

"The hamburger is a round, edible, steak-like object, made of minced beef, grilled or fried and usually served with fried onions and tomato ketchup between two halves of toasted bread roll or bun."

სიტყვათშეთანხმება "bread roll" ბრიტანულ ინგლისურში გამოიყენება, მაშინ როდესაც იგივე ცნება ამერიკულ ინგლისურში აღინიშნება ლექსებით "bun". თვითონ სიტყვა ჰამბურგერი წარმოიშვა გერმანული სიტყვიდან "hamburg". შესაბამისად წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით "hamburger" დაიყოფა, როგორც "hamburg+er". მაგრამ რისი თქმა შეიძლება ჰამბურგერის მომხმარებელზე, რომელმაც გერმანული არ იცის? შეიძლება ის ჰამბურგერში გულისხმოს ღორის ხორცს, მაშინ როცა ჰამბურგერი მზადდება ძროხის ხორცისგან. ზოგიერთი რესტორნის მეპატრონემ იმისათვის, რომ ხაზი გაესვა კულინარიული შემადგენლობისათვის, ტერმინი "hamburger" შეცვალა ტერმინით "beef-burger". დღეისათვის თქვენ შეიძლება შეხვდეთ ისეთ ტერმინებს, როგორცაა "egg-burger", "cheese-burger", "fish-burger", "crab-burger", etc. "burger"-მა ამ შემთხვევაში შეიძინა შემდეგი მნიშვნელობა "grilled, chopped meat or fish, served with a toasted bun." ასეთი სახის ინოვაცია სიტყვებით თამაშისა უფრო ადვილად დამკვიდრდა ამერიკულ ინგლისურში, ვიდრე ბრიტანულში.

### § 3. შერეული ენები და ჩრდილო ამერიკული ინგლისური (Creole and Pidgin)

ამერიკული ინგლისურის ისტორია გვიჩვენებს, თუ რა ხდება მაშინ, როცა სხვადასხვა ხალხები და მათი კულტურა შედის ერთმანეთთან კონტაქტში. მართო ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელების ძალზედ ბევრ სიტყვას იყენებდნენ ესპანელი, ფრანგი და ინგლისელი ახალმოსახლეები.

ევროპელ მეტოქეებს შორის დაპირისპირებამ გამოიწვია ორმხრივი სიტყვათსესხება. ჩვენ ვნახეთ მაგალითები ნასესხები სიტყვებისა ინგლისურში, მაგრამ

ფრანგული და ესპანური ენებისთვისაც არის დამახასიათებელი ნასესხები სიტყვები. ფრანგულში არსებობს ნასესხები სიტყვები ესპანურიდან და პირიქით, ესპანურში არსებობს ფრანგულიდან ნასესხები სიტყვები; ამავდროულად ორივე ენაში არსებობს ინგლისურიდან ნასესხები სიტყვები.

კულტურებს შორის კონტაქტის შედეგია შერეული ენების წარმოშობა. ეს არის ენა, რომელშიც ორი ან მეტი ენის ძირითადი ელემენტები არის ერთმანეთში არეული, რაც საბოლოოდ ქმნის ახალ ენას. ენების ისტორია გვაჩვენებს, რომ ისინი იქმნებიან სხვადასხვა ენების ელემენტების შერწყმის გზით. ამ მხრივ არც ინგლისურია გამონაკლისი. **სწორედ ორი ან მეტი ენის შეწყობის შედეგად წარმოიშვა "creole" და "pidgin".**

ჩრდილოეთ ამერიკაზე საუბრისას, აუცილებელია გამოიყოს ორი სახის შერეული ენა, რომელთაც საფუძვლად უდევს ინგლისური: "Chinook Jargon" და "Gullah Dialect". ჩინუკების ჟარგონი ("Chinook Jargon") არის ფიჯინი, რომელიც გამოიყენება სავაჭრო ურთიერთობებში ევროპელებსა და ინდიელებს შორის. ამასთანავე ეს არის ენა, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა ენის მატარებელი ინდიელები ამყარებენ კომუნიკაციას ერთმანეთში. ზემოთ აღნიშნული ენა არის რამოდენიმე ინდიელთა ტომის - ჩინუკების, ნუტკების("Nootka") და უასკოს("Wasco") ტომების ენების ნაერთი, რომელიც შეიცავდა ნასესხებ სიტყვებს ფრანგულიდან, ინგლისურიდან და რუსულიდან.

**გულაჰის დიალექტი ("Gullah Dialect") კი არის კრეოლი. ბევრისათვის ის არის მშობლიური ენა, რომელსაც იყენებს ზანგი მოსახლეობა ჯორჯიასა და სამხრეთ კაროლინაში.** მოცემული დიალექტი შედგება დიდი რაოდენობით აფრიკული სიტყვებისგან (დაახლოებით 6000 აფრიკული სიტყვისგან). უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ენა შეიცავს გრამატიკისა და გამოთქმების იმ ელემენტებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია დასავლეთ აფრიკის ენებთან, რომელსაც იყენებდნენ აფრიკელი მონები ამერიკის კონტინენტზე. ეს დიალექტი დღესაც გამოიყენება ჯორჯიის შტატსა და სამხრეთ კაროლინაში. გულაჰის დიალექტი განსხვავდება Black English-ისგან ორი ძირითადი თვალსაზრისით:

1) "Gullah Dialect"-ი არის ლოკალური ენა, რომელიც შეზღუდულია გეოგრაფიული გავრცელების არეალით, მაშინ როცა "Black English"-ი გამოიყენება მთელს ა.შ.შ.-ში.

2) “Gullah Dialect”-ი არის კრეოლი, მაშინ როცა “Black English”-ი ითვლება ინგლისური ენის ერთ-ერთ ვარიანტად.

#### § 4. შავკანიანთა ინგლისური (Black English)

ბოლო რამოდენიმე წელია, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში აღიარებულ იქნა “Black English”-ის არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეზე მეტია რაც ზანგი მოსახლეობა საუბრობს ამ დიალექტზე. წინა წლებში ამ დიალექტის მატარებლები ვერც კი იფიქრებდნენ, რომ ენას, რომელზედაც ისინი საუბრობდნენ, მიენიჭებოდა სახელწოდება “Black English”. ისინი ვინც არ იყენებდნენ ამ დიალექტს (ე.ი. თეთრკანიანი მოსახლეობა) თვლიდნენ, რომ მათი ინგლისური უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ზანგებისა. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ძალზედ დიდი ნაწილი ფერადკანიანი მოსახლეობისა ა.შ.შ-ში იყენებს ინგლისური ენის დიალექტს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ინგლისური ენის ყველა სხვა ვარიანტისგან განსხვავებული გრამატიკა, ლექსიკა და აქცენტი. აღსანიშნავია, რომ მონობის გაუქმებამდე შავკანიანების არასტანდარტული დიალექტი აშშ-ში ასრულებდა საიდუმლო ენის ფუნქციას თეთრკანიანების წინააღმდეგ. დღესაც არის ისეთი შემთხვევები, როცა “Black English” - ი გამოიყენება თეთრკანიანების მასხრად ავადებისა და შეურაცხყოფის მიზნით. დღესდღეობით ზანგები ამაცობენ, რომ “Black English” -ის არსებობა მეტყველებს მათ განსხვავებულ აფრო-ამერიკულ კულტურაზე. ასეა თუ ისე, “Black English” -ის არსებობა რეალობაა ამერიკულ ინგლისურში. არის ადგილები, სადაც ისინი, ვინც არ იციან ინგლისური ენის მოცემული ვარიანტი, ვერ შეძლებენ სამსახურის შოვნას. რამოდენიმე წლის წინ კი “Black English” ითვლებოდა ინგლისური ენის მიუღებელ, ქვე-სტანდარტულ ფორმად. ქვემოთ მოცემულია “Black English” -ის მაგალითები უოლფრამის და კლარკის წიგნიდან [Walfram and Clarke, 1971]:

1. “Everybody looks down on **they feet**”. (Stand. Eng: “Everybody looks down on **their feet**”)
2. “ I **ain’t** afraid of nothing”. (Standard English: “**I’m not** afraid of anything”)



3. “Be good to me and **I be good for you**”. (Stan. Eng.: “Be good to me and **I’ll be good to you**”)

4. “**You ugly**, man”. (Standard English: “**You’re ugly**, man”).

მიუხედავად იმისა, რომ “Black English” განიცდიდა იგნორირებას, ის ძალზედ მოულოდნელად გახდა მთელი შავკანიანი მოსახლეობის კულტურულ ფასეულობად, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. უფრო მეტიც, ის არის მშობლიური ენა მილიონობით ამერიკელისათვის. შესაბამისად საინტერესოა მისი როლი აშშ-ის სკოლებში. იმ მოსწავლეებისთვის, რომელთათვისაც “Black English” არის მშობლიური ენა, არსებობს სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც ისინი სტანდარტულ ინგლისურს ეუფლებიან, ერთის მხრივ, როგორც საგანს ინგლისელებისათვის, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც უცხო ენას.

### § 5. ბრიტანული და ამერიკული ინგლისურის ურთიერთგავლენის ძირითადი ფაზები

როგორც მოგეხსენებათ, ბრიტანული და ამერიკული სახელმწიფოების მმართველობის სისტემა განსხვავდება ერთმანეთისგან. შესაბამისად საჭირო იყო ამერიკულ ინგლისურში ახალი ტერმინების შემოღება ადმინისტრაციულ სფეროსა და საარჩევნო სისტემაში არსებული რეალიების და პროცესების აღსანიშნავად. ასეთი სიტყვებია, მაგალითად:

“assembly”	“primary”
“assemblyman”	“President”
“Vice-president”	“presidential”
“caucus”	“representative”
“Congress”	“run for office”
“congressman”	“Senate”
“electoral college”	“senator”

ამერიკელები ცნობილი არიან თავიანთი გამოგონებებით, ორიგინალურობითა და ინოვაციებით. შესაბამისად ინგლისურისათვის ცნობილი ბევრი ტერმინი არის ამერიკული წარმოშობის. მაგალითად, “Harmonica” (ორიგინალ სფელინგში “armonica”) არის

სახელწოდება მუსიკალური ინსტრუმენტისა, რომელიც 1972 წელს გამოიგონა ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა და სახელმწიფო მოღვაწემ ბენჯამინ ფრანკლინმა. სიტყვები “lynching”, “tarring” და “feathering” პირველად გამოჩნდნენ ამერიკულ ინგლისურში. ქვემოთ მოცემულია მცირედი ჩამონათვალი მსგავსი სიტყვებისა:

“To advocate”	“reliable”
“ To demoralize”	“to locate”
“appendicitis”	“telegram”
“ bee-line”	“telephone”
“depertment store”	“dutiabale”

არსებობს არქაული ბრიტანული წარმოშობის ისეთი სიტყვები, რომელთაც არსებობა განაგრძის ამერიკულ ინგლისურში და შემდეგ ნასესხები იყვნენ უკან ბრიტანულ ინგლისურში. მაგ.: “dead right”, “dead wrong”, “to collide”. ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის არსებულ ლექსიკურ და გრამატიკულ განსხვავებებს დაწვრილებით შევხებით ჩვენი ნაშრომის მესამე თავში.

სიტყვებისა და გამონათქვამების ახალი წარმონაქმნები განსაკუთრებით ძლიერი იყო მე-19 - მე-20 საუკუნეების ამერიკაში. ამერიკული ინგლისური ღიაა ყოველგვარი ინოვაციებისათვის, მაშინ როცა ბრიტანეთში ენისადმი კონსერვატიული მიდგომა ჯერ კიდევ ძლიერია. ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის არსებული განსხვავებების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ესაა.

ამრიგად, ბრიტანული და ამერიკული ინგლისურის ურთიერთგავლენა შეიძლება დავყოთ ოთხ ძირითად ფაზად:

1. თავდაპირველად კოლონიალურ ამერიკაში დომინანტი იყო ბრიტანული ენა.
2. ამერიკის დამოუკიდებლობიდან პირველ მსოფლიო ომამდე, ამერიკული ინგლისური ამჟღავნებდა ბრიტანული ინგლისურისგან განსხვავებულ ნიშან-თვისებებს. ამ პერიოდში, მიუხედავად იმისა რომ ამერიკული ინგლისური გამოირჩეოდა ორიგინალურობით, ის მაინც ითვლებოდა ბრიტანული ინგლისურის ”უმცროს პარტნიორად”.

3. მესამე ფაზა გულისხმობს თანამედროვე მიდგომას ამერიკული ინგლისურისადმი. როდესაც იგი ითვლება ბრიტანული ინგლისურის თანაბარ ენად, უფრო ზუსტად კი, მის თანასწორუფლებიან ვარიანტად (Schlauch, 1959).

4. და ბოლოს, დღევანდელი ამერიკანიზაციის ფაზა, როდესაც ამერიკული ინგლისური თავისი მოქნილობითა და შედარებითი სიმარტივით პრეტენზიას აცხადებს ინგლისური ენის გლობალურ სტანდარტზე.

### თავი III

## ამერიკული ინგლისურის აქცეპტაბელურობა, როგორც მისი გლობალიზაციის ერთ-ერთი ფაქტორი

### § 1. წინასწარი შენიშვნები

პირველ რიგში, გვინდა განვმარტოთ ტერმინ „გლობალიზაციის“ მნიშვნელობა. ერთი მხრივ, იგი გამოიყენება იმ მნიშვნელოვანი გლობალური ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ცვლილებების აღსანიშნავად, რომელთაც ადგილი აქვს თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურაში. მეორე მხრივ, ამ ტერმინს აქვს მნიშვნელოვანი ლინგვისტური დატვირთვა და იგი მეტწილად გულისხმობს ინგლისური ენის მზარდ გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით, რაც ეკონომიკური და გეოპოლიტიკური გლობალიზაციის თანმხლები ფაქტორია (ლლონტი 2010: 128).

უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც ლაპარაკია ინგლისური ენის გლობალიზაციაზე, ჩვეულებრივად გულისხმობენ მის ამერიკულ ვარიანტს, რაც განპირობებულია როგორც

ამერიკის შეერთებული შტატების როგორც სუპერსახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური მნიშვნელობით, ასევე სოციოლინგვის-ტური და საკუთრივ ენობრივი ფაქტორებით. როგორც ამ პრობლემის ცნობილი მკვლევარი ლოუენბერგი აღნიშნავს, გლობალიზაცია ლინგვისტურ განზომილებაში წარმოქმნის უახლეს ბრენდს და ახალ ვალდებულებებს ენის მიმართ (Lowenberg 1993).

გლობალიზაციის ახალ კონტექსტში უაღრესად აქტუალური ხდება ბ. კაშრუს მიერ შემუშავებული ტრადიციული მოდელის განხილვა, რომელიც აღწერს ინგლისური ენის მომხმარებლებს და მის გამოყენებას მსოფლიო-მასშტაბით, და რომელიც ცნობილია მსოფლიო ინგლისურის კაშრუსეული მოდელი სახელწოდებით (Kachru 1992). ამ მოდელმა ლინგვისტებს შორის ურთიერთსაინანაღმდეგო აზრები გამოიწვია. ერთი მხრივ, ის წარმოდგენილია როგორც სტანდარტული მოდელი, რომელშიც მომხმარებლების მუდმივად მზარდი რაოდენობა ითვსებს სტანდარტულ ინგლისურს ამა თუ იმ გეოგრაფიულ და სოციო-კულტურულ სინამდვილეში; ხოლო მეორე მხრივ, ის უფრო და უფრო ორიენტირებული ხდება ინგლისურად მოლაპარაკე სახელმწიფოების ქსელის გაფართოებაზე მსოფლიო მასშტაბით, რაც თვალსაჩინოდ წარმოაჩინს გლობალიზაციის ფენომენის მოზაიკურ სურათს. მკვლევართა აზრით, ის რაც ამ მოდელს სწრაფად ცვალებადი ლინგვისტური რეალობის დღევანდელ სიტუაციაში აკლია, არის იმ სტანდარტების ზუსტი პრეზენტაცია, რომელიც მიღებული და შესწავლილი იქნება გლობალურად (Bailey, R.W. & Gortach 1982). კაშრუს მოდელის გლობალური სტანდარტის დამოკიდებულებები შეიძლება შემდეგნაირად აღიწეროს:

1. ადგილობრივი ინგლისური უფრო დიდი პრიორიტეტებით სარგებლობს ვიდრე შიდა წრის, ანუ სტანდარტული ბრიტანული თუ ამერიკული ინგლისური;
2. შიდა წრის აქცენტებს ხშირად იმპერიალისტურის ნიშნითაც მოიხსენიებენ;
3. დღევანდელი მსოფლიო ინგლისურის ლინგვისტურ სტანდარტზე შეთანხმება ვერ ხერხდება და სტანდარტიზაციის პერსპექტივები,

გლობალიზაციის პროცესების მიუხედავად, უფრო და უფრო საკამათო ხდება.

რამდენადაც სტანდარტიზაცია გარდუვალია, უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი მოითხოვს არა მხოლოდ ლინგვისტური და სოციოლინგვისტური კვლევების მონაცემებს, არამედ იგი იძენს პოლიტიკურ მნიშვნელობასაც. გლობალიზაციის ახლანდელ სიტუაციაში ინგლისურის ორი მთავარი ვარიანტის – ბრიტანულის და ამერიკულის გავრცელებას რომელიმე მათგანის უპირატესობით შეიძლება გეოპოლიტიკური უფრო ვუნდოთ ვიდრე გეოგრაფიული, რამდენადაც ის უმთავრესად განპირობებულია ამა თუ იმ ქვეყნის მისწრაფებით დაუახლოვდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ შეერთებული შტატების წამყვანი როლი გლობალიზაციის პროცესში და ამჟამინდელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროებში სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკული ინგლისური ავტომატურად გადადის მსოფლიო ინგლისურის გლობალურ სტანდარტში, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვისაუბროთ ამერიკული ინგლისურის არათანაბარ შეღწევალობაზე ამ სტანდარტში მსოფლიო ინგლისურების გავლით. ლინგვისტურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ კაპრუსელ მოდელში ამერიკული ინგლისურის სტატუსის კვლევის არეალი არასაკმარისი და წინააღმდეგობრივია, და რომ საჭიროა იმ ენობრივი და სოციოლინგვისტური ფაქტორების კვლევა და წარმოჩენა, რაც განაპირობებს ამერიკული ინგლისურის ასეთ სწრაფ გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით.

ამერიკანიზაციის მზარდი წრის ქვეყნები ამ კვლევაში წარმოადგენენ ყველაზე მთავარ საყრდენს, რადგან ინგლისური ენა აქ გავრცელების საწყის ეტაპზეა. კაპრუს აზრით, გლობალიზაციის პროცესმა ინგლისური ენის მომხმარებლებში შეცვალა დამოკიდებულება სტანდარტისადმი: ადამიანებმა, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა, დაკარგეს პრეროგატივა ეკონტროლებინათ მისი სტანდარტიზაციის პროცესი, რაც საშუალებას აძლევს ენის მომხმარებლებს საკუთარი ლინგვისტური დამოკიდებულებები აავონ მათთვის მისაღები შესაძლო სტანდარტების მეშვეობით (Kachru 1992).

აღნიშნულიად გამომდინარე, ამა თუ იმ ენის საერთაშორისო სტანდარტად აღიარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მისი აქცეპტაბელურობა, ანუ ათვისებადობა წარმოადგენს. „ათვისებადობა“ („accessibility“) სპეციალური ცნებაა გამოყენებით ლინგვისტიკაში, რომელიც ენის დაგეგმვის ერთ-ერთ მახასიათებელად განიხილება ყველა იმ პარამეტრის აღსანიშნავად, რომლებიც აუცილებელია ენის წარმატებით შესწავლისათვის (Quirk & Widdowson 1985: 5).

აქცეპტაბელურობის ძირითად პარამეტრს წარმოადგენს მოცემული ენის ფონეტიკური, მართლწერიითი, ლექსიკურ-სემანტიკური და გრამატიკული მახასიათებლების შედარებითი სიმარტივე, რაც აადვილებს მის ათვისებას (Quirk & Widdowson 1985). ეს არის ნებისმიერი ცივილიზებული ენის მთავარი კომპონენტები, რომლებიც ცვლილებებს განიცდის ერთი კულტურიდან და ენიდან მეორეზე გადასვლისას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქცეპტაბელურობა – ეს არის ენის დამყოლი უნარი გახდეს შესწავლადი. აქედან გამომდინარე, მკვლევარები (როგორც ლინგვისტები, ისე მეთოდისტები) ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტორების შესწავლაზე, რომლებიც სირთულეებს უქმნის უცხოელებს ენის დაუფლებაში, და ახდენენ იმ შეცდომების ტიპოლოგიზაციას, რომლებსაც ისინი უშვებენ გამოთქმაში, ორთოგრაფიაში, გრძელ სიტყვებში, იდიომატიკასა და პოლისემიაში, მორფოლოგიაში, სინტაქსურ სტრუქტურაში და რეგისტრის ანუ სტილისტიკურ შეზღუდვებში (Quirk & Widdowson 1985).

## § 2. სტანდარტული ინგლისურის ცნება

პირველ რიგში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავაზუსტოთ სატანდარტული ინგლისურის ცნება. მოცემული ტერმინი გულისხმობს ინგლისური ენის ერთ-ერთ კონკრეტულ დიალექტს, რომლისთვისაც დამახასიათებელია განსაკუთრებული ტიპის ნიშან-თვისებები. შეიძლება მკითხველს გაუკვირდეს დიალექტისათვის ტერმინი „სტანდარტულის“ მინიჭება, რადგან ყოველდღიურ ლაპარაკში სიტყვა დიალექტი გულისხმობს ლოკალურ და არასტანდარტულს. მაგრამ ტერმინი „სტანდარტული“

ტექნიკური მნიშვნელობით გულისხმობს განსაკუთრებული ტიპის ლექსიკური და გრამატიკული ნიშან-თვისებების ერთობლიობას. აღსანიშნავია ფაქტი, რომ უმეტესი ნაწილი დიალექტებისა შეზღუდულია გეოგრაფიული გავრცელების თვალსაზრისით. ამ მხრივ, სტანდარტული ინგლისური არის გამონაკლისი. ლოკალური დიალექტები გამოიყენება ადგილობრივი მასშტაბით. სტანდარტული დიალექტი და შესაბამისად სტანდარტული ინგლისური, არ მიეკუთვნება ერთ რომელიმე კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილს. ის მოსახერხებელია ყველგან, სადაც ინგლისურად ლაპარაკობენ.

სტანდარტულ ინგლისურს ახასიათებს კიდევ ერთი ნიშან-თვისება განსხვავებით ყველა სხვა დიალექტისაგან: სტანდარტული ინგლისურისათვის დამახასიათებელია ნებისმიერი აქცენტი(უცხოური აქცენტის ჩათვლით), მაშინ როდესაც ლოკალური დიალექტებისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ადგილობრივი აქცენტი. ამრიგად, სტანდარტული ინგლისური არის საერთაშორისოდ მიღებული ფორმა ინგლისური ენისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია გარკვეული (სტანდარტული) ტიპის ლექსიკურ-გრამატიკულ და ფონეტიკურ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა. ეს არის ინგლისური ენის ის მოდელი, რომელსაც ეუფლებიან უცხოელი მოსწავლეები.

თუკი არსებობს ინგლისური ენის ერთი დიალექტი, სტანდარტული ინგლისური, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნებისმიერი ტიპის აქცენტი, შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებობს ერთი კონკრეტული აქცენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში და მეორე ბრიტანეთში. ამ ორ აქცენტს ხშირად უწოდებენ "General American" და "R.P." - "Received Pronunciation". ნებისმიერი ლოკალური აქცენტი შეიძლება გამოვიყენოთ ორი თვალსაზრისით: ის შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ლოკალურ დიალექტთან, ასევე სტანდარტულ ინგლისურზე საუბრისას. მაგრამ "General American" და "R.P." შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ სტანდარტულ ინგლისურზე საუბრისას. შესაბამისად, ინგლისური ენის ლოკალური დიალექტები განსხვავდება გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, მაშინ როდესაც სტანდარტული ინგლისური ნაკლებად იცვლება. რაც შეეხება სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებს, როგორცაა კანადა, დასავლეთ ინდოეთი და ავსტრალია, სტანდარტული ინგლისურისათვის რეგიონალური აქცენტი არის ნორმა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დიალექტი არის გრამატიკისა და ლექსიკის ერთობლიობა.

სტანდარტული ინგლისურისა თუ ლოკალური ინგლისური დიალექტის გამოყენება დამოკიდებულია კონკრეტულ სოციალურ გარემოზე. თუკი მოლაპარაკე ფლობს მხოლოდ ლოკალურ დიალექტს, მაშინ მას არჩევანის გაკეთების საშუალება არ ეძლევა; ხოლო თუ მეტყვევლი სუბიექტი ფლობს ორივე - ლოკალურ დიალექტს და სტანდარტულ ინგლისურს, მაშინ მას ეძლევა საშუალება აირჩიოს სიტუაციისათვის შესაფერისი დიალექტი. კვლევებმა აჩვენებს, რომ მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ მხოლოდ ლოკალურ დიალექტს მიეკუთვნებიან დაბალ სოციალურ კლასს და მათ აქვთ მინიმალური განათლება. მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ მხოლოდ სტანდარტულ ინგლისურს, იშვიათად მიეკუთვნებიან დაბალ სოციალურ ფენას და მათ აქვთ “above-average” შესაძლებლობა განათლების მისაღებად. მოქალაქეები, რომლებიც ისევე ფლობენ სტანდარტულ ინგლისურს როგორც ლოკალურ დიალექტს, ხასიათდებიან მობილურობითა და მოქნილობით კომუნიკაციის დროს, განსხვავებით ზემოთ აღნიშნული მოქალაქეებისგან.

ამრიგად, ჩვენს ნაშრომში ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის არსებულ განსხვავებებს საფუძვლად უდევს სტანდარტული ინგლისური ენა, რადგან ძალზედ რთული იქნებოდა მათ შორის განსხვავებებზე გვემსჯელა ლოკალური დიალექტების საფუძველზე. შესაბამისად, ჩვენს ნაშრომში მოცემულია განსხვავებები, რომლებიც არსებობს სტანდარტულ ბრიტანულ ინგლისურსა და სტანდარტულ ამერიკულ ინგლისურს შორის.

### **§ 3. გრამატიკული განსხვავებები ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურს შორის**

ამერიკელი, რომელსაც ესმის ბრიტანული ინგლისური და პირიქით ბრიტანელი, რომელსაც ესმის ამერიკული ინგლისური ხვდება, რომ მისი ენა განსხვავდება



მოლაპარაკის ენისგან. თუ ის არის გამოცდილი ადამიანი ენასთან მიმართებაში, (მაგ., ინგლისური ენის მასწავლებელი), მაშინ ის ვარაუდობს, რომ ინგლისური ენის ამ ორ ძირითად ვარიანტს შორის არის თანაბარი განსხვავებები გრამატიკის, ლექსიკის და გამოთქმის კუთხით. მაგრამ ფაქტია, რომ რიცხობრივად გრამატიკული განსხვავებები შედარებით მცირეა და ის ხასიათდება ტრივიალური ბუნებით. ძირითადი გრამატიკული განსხვავებები შეიძლება დაფიქსირდეს სამ ჯგუფად:

- ა) ზმნასთან დაკავშირებული განსხვავებები;
  - ბ) არსებით სახელთან და ნაცვალსახელთან დაკავშირებული განსხვავებები;
  - გ) წინდებულთან დაკავშირებული განსხვავებები.
- არსებობს ასევე პატარა ჯგუფები სხვადასხვა განსხვავებებისა.

### 3.1 ამერიკულ და ბრიტანულ ზმნას შორის არსებული განსხვავებები

ორივე, ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურში, ზმნები “to have” და “to get” არიან ყველაზე ხშირად ხმარებადი ზმნები, განსაკუთრებით ზეპირი მეტყველებისას. სწორედ ამ ზმნების გამოყენება ქმნის იმ განსხვავებების დიდ ნაწილს, რომელიც არსებობს ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის.

1. “got”-“gotten”. პირველი მნიშვნელოვანი განსხვავება არის ის, რომ ბრიტანულ ინგლისურს არ აქვს ზმნა “to get”-ის ნამყო მიმღეობა - “gotten”. მოცემული ფორმა გამოიყენება ამერიკულ ინგლისურში შეძენილისა ან მიღებულის მნიშვნელობით. AE” I wish I could have gotten here sooner”. თანამედროვე ბრიტანულ ინგლისურში “got” არის ერთადერთი წარსული ფორმა.

2. “do you have” – “have you got”. როგორც ამერიკული “gotten”-ის გამოყენება იცვლება, ასევე იცვლება ბრიტანული “have got”-ის გამოყენება. დაკვირვებები ცხადყოფს, რომ მოცემული მოდელეები ფართოდ გამოიყენება ახალგაზრდების მეტყველებაში.

- ა) აწმყო დრო ბრიტანულ ინგლისურსა და ამერიკულ ინგლისურში.

- a) Present in BE and AE  
“ Have you . . . ?” (meaning: “Do you own or possess, in general?”)
- b) Present in AE only  
“Do you have . . . ?” (meaning: “Do you own or possess at this moment of time?”)
- c) Present in BE only  
“ Do you have . . . ? “ (meaning: “Do you habitually have . . . ?” )
- d) Present in BE only  
“Have you got . . . ?” (meaning: “Do you own or possess at this moment of time . . . ?”)

ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურში Do you have? და Have you got? - განსხვავებულ მნიშვნელობებს ატარებს. ამის ნათელი მაგალითია შემთხვევა, როცა ბრიტანელ ქალს ჰკითხა ამერიკელმა: “Do you have children?” მან კი უპასუხა: ”Yes, one a year.” თუმცა, დღეისათვის ყველა ამერიკელი და ბევრი ბრიტანელი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, იყენებენ “Do you have. . . ?” c, d მნიშვნელობით და “Have you got. . . ?” არის უკვე ნაკლებად ხმარებადი ბრიტანულ ინგლისურშიც კი.

3. AE: “Did you have...?” BE: “Have you had...?”- ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ განსხვავდება ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურში წარსულ დროში ჩასმული კითხვითი წინადადება:

AE: “Did you have your holidays yet?”

BE: “Have you had your holidays yet?”

4. არსებითი სახელისაგან ნაწარმოები ზმნები. ამერიკულ ინგლისურში არსებობს ტენდენცია არსებითი სახელებისგან ზმნების წარმოების და პირიქით - ზმნებისგან არსებითი სახელების, რაც ნაკლებად დამახასიათებელია ბრიტანული ინგლისურისათვის. ქვემოთ მოცემული მაგალითები სწორედ ამ ფორთოდ გავრცელებული პროცესის მაჩვენებელია:

**Verbs derived from Nouns:**

“Pressure” – “to pressure”

“Radio” – “to radio”

“Guest” – “to guest” (to go as a guest on a TV talk-show)

“Input” – “to input”

“Chair”(in th chair at the meeting) – “to chair”

“Ghost” (-writer) – “to ghost”

**Nouns derived from Verbs:**

“To build up” –“ a build-up”

“To brush off” –“ a brush-off”

“To run down” (a list) – “a run-down”

“To count down” (a rocket) – “a countdown”

“To put in” – “input”

“To check up” –“ a check-up”

“To run someone around” –“ a run-around”

5. **ზმნური ფრაზები.** ამერიკულ ინგლისურში წარმოქმნილი ზმნური ფრაზები სწრაფად იქნა ათვისებული და გადატანილი ბრიტანულ რეალობაში. მაგალითად:

AE “You have to be joking”.

BE “You’ve got to be joking”.

6. **AE: “to order something done” - BE: “to order something to be done”.** ამერიკულ გამონათქვამს, როგორცაა მაგალითად: AE “The President ordered controls clamped on wages, prices and rents” - აქვს შესაბამისი ბრიტანული ექვივალენტი: “The Government ordered controls to be clamped on wages, prices and rents”. ბრიტანულ ინგლისურში ზმნა done მსგავსი ტიპის ფრაზებში გამოიყენება to be done- ფორმით.

**3.2 არსებითი სახელების და პირის ნაცვალსახელების  
ფუნქციონირების თავისებურებები ამერიკულ და ბრიტანულ  
ინგლისურში**

1. ამ ტიპის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებები ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურს შორის დაფიქსირებულია ჟურნალისტიკაში. ერთ-ერთ ასეთ ფაქტს წარმოადგენს საკუთარი სახელისა და მისი მსაზღვრელი სახელადი ფრაზის არანაპირების სპეციფიურობა, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში: ბრიტანულ ინგლისურში თავდაპირველად ხდება პიროვნების ინტროდუქცია საკუთარი სახელით, ხოლო შემდეგ მისი იდენტიფიკაცია ატრიბუტული სახელადი ფრაზით. ამერიკულ ინგლისურში კი პირიქით - ატრიბუტული სახელადი ფრაზა წინ უსწრებს საკუთარ სახელს. მაგალითად:

**BE:** “ Mr. Edward Johnson, the bearded 30-year old property millionaire . . . ”

**AE:** “ Bearded 30-year old property millionaire Edward Johnson . . . ”

2. **One . . . one vs one . . . he.** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის არის კვანტორული ნაცვალსახელის “one” ფუნქციონირება ზოგადი ხასიათის მტკიცებებში. ამერიკულ ინგლისურში, “one”-ის საშუალებით ხდება მსჯელობის საგნის პირველადი შემოყვანა ტექსტში, ხოლო მისი შემდგომი აქტუალიზება ხორციელდება ანაფორული მესამე პირის ნაცვალსახელით. ბრიტანულ ინგლისურში კი მსჯელობის საგნის პირველადი შემოყვანაც და მისი ხელმეორედ აქტუალიზებაც ხორციელდება კვანტორული ნაცვალსახელით “one”. მაგალითად:

**AE:** “When one has seen the size of the problem, he realizes . . . ”

**BE:** “When one has seen the size of the problem, one realizes. . . “

3. **“You and I” დამატების როლში.** მესამე თავისებურება ეხება პრონომინალური ფრაზის “you and I” გამოყენებას დამატების როლში. ამ შემთხვევაში მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ამერიკული ინგლისურისათვის ზეპირი მეტყველების დროს დამახასიათებელია ამ ფრაზის უცვლელი გამოყენება როგორც ქვემდებარის, ასევე დამატების როლში, მაშინ როდესაც იგივე ფუნქციური დანიშნულებით ბრიტანელების უმრავლესობა ამ ნაცვალსახელებს გამოიყენებს ობიექტურ ბრუნვაში you and me. მაგალითად:

**AE:** “He won’t let *you and I* talk to them.”

**BE:** “He won’t let *you and me* talk to them”.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურში განათლებული და წიგნიერი ადამიანი მარტივად ამჩნევს განსხვავებას “you and I”-სა და “you and me”-ს შორის. თუმცა ამკარაა, რომ you and I-ს ხმარება უფრო ხშირია ამერიკულ ინგლისურში.

### 3.3 განსხვავებები ბრიტანულ და ამერიკულ წინდებულებს შორის.

1. **different than : different from /different to.** ამერიკულ ინგლისურში გამოიყენება ფორმა different than, რაც უცხოა ბრიტანული ინგლისურისათვის, სადაც გამოიყენება different from, თუმცა ზეპირმეტყველებისას იგი ხშირად იცვლება ფრაზით - different to. მაგალითად:

**AE:** “Let me tell you about the very rich. They are different than me and you.”

**BE:** “Let me tell you about the very rich. They are different from me and you.”

2. **ფრაზული ზმნების წინდებულების ვარიანტულობა,** როდესაც ერთი და იგივე მნიშვნელობის გამოსახატავად ზოგიერთი ზმნა სხვადასხვა წინდებულს მიიერთებს ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურში. მაგალითად:

**AE:** “ I’ll *check that out*”.

**BE:** “ I’ll *check up on that*”.

**AE:** “to *talk with* somebody”.

**BE:** “ to *talk to* somebody”.

**AE:** “to *visit with* neighbours”.

**BE:** “ to *call on* neighbours “.

3. მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურში წინდებულების გამოყენება **კვირის დღეებთან და კონკრეტულ თარიღებთან.** ბრიტანულ ინგლისურში ღროის აღმნიშვნელ ამ სახელებთან და თარიღებთან

გამოიყენება წინდებული on, მაშინ როდესაც ამერიკული ინგლისური გვათავისუფლებს ამ წინდებულისგან.

**BE:** “The new air service begins on January 1”.

**AE:** “The new air service begins January 1”.

**BE:** “ I start my holidays on Friday”.

**AE:** “I start my holiday Friday”.

4. **by day : days; by night : at night/nights.** იქ, სადაც ბრიტანული ინგლისური იყენებს გამოთქმებს by day და by night, ამერიკული ინგლისური იყენებს ალტერნატიულ გამოთქმებს days და nights.

**AE:** “I work nights as a bar-tender”.

**BE:** “I work at night as a barman”.

**AE:** “The store is open days from 9.00 to 6.30”.

**BE:** “ The shop is open each day (daily) from 9.00 to 6.30”.

5. **home – at home.** სიტყვა home ამერიკულ ინგლისურში ფართოდ გამოიყენება, ისევე როგორც ბრიტანულ ინგლისურში. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ბრიტანულ ინგლისურში გამოიყენება “at home”, ხოლო ამერიკულში კი - “home”. მაგალითად:

**AE:** “Is Henry home?”

**BE:** “ Is Henry at home?”

**AE:** “Let’s stay home this evening”.

**BE:** “Let’s stay at home this evening”.

6. **all the X – all of the X.** დღემდე ბრიტანულ ინგლისურში წერით მეტყველებაში უცვლელად გამოიყენება “all the X” (e.g. “all the time”), მაშინ როცა ამერიკულ ინგლისურში ასევე უცვლელად გამოიყენება “all of the X” (e.i. “all of the time”). თუმცა, ახალგაზრდების მეტყველებაში შეიმჩნევა ამ ორივე ვარიანტის გამოყენების ტენდენცია როგორც ბრიტანულ, ასევე ინგლისურში .

### 3.4 განსხვავებები არტიკლისა და კავშირების გამოყენებაში

1. არსებობს ერთი მარტივი გამოთქმა, სადაც ბრიტანულ ინგლისურში არტიკლი არ გამოიყენება, ამერიკულში გვაქვს განსაზღვრული არტიკლი the, და პირიქით. მაგალითად:

**BE:** “He’s in hospital”.

**AE:** “He’s in the hospital”.

მეორე მტკიცების მაგალითად გამოდგება არტიკლის ხმარება თარიღებთან. ბრიტანულ ინგლისურში თარიღებთან ჩვეულებრივ გამოიყენება the არტიკლი: “the eleventh of July”, მაშინ როცა ამერიკულ ინგლისურში ჩვეულებრივ ამბობენ “July eleventh ან July eleven”.

2. “as”, “though” კავშირების გამოყენება დათმობით დამოკიდებულ წინადადებაში. ემპირიული მასალის ანალიზი წარმოაჩენს ამ ორი კავშირის ჩანაცვლებადობას ბრიტანული და ამერიკული ინგლისურის დათმობით დამოკიდებულ წინადადებაში, რომელიც ინვერტირებული სიტყვათწყობით არის მარკირებული. ბრიტანულ ინგლისურში გამოიყენება კავშირი “though”, მაშინ როდესაც ამერიკულ ინგლისურში იგივე ფუნქციური დანიშნულებით გამოიყენება კავშირი as.

**BE:** “Different though it may be, nevertheless . . .”

**AE:** “As different as it may be, nevertheless . . .”

**BE:** “It’s a pleasure to see you, early though it is”.

**AE:** “It’s a pleasure to see you, early as it is”.

ამრიგად აშკარაა, რომ ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის არსებული გრამატიკული განსხვავებები საკმაოდ მცირეა და არა არსებითი ხასიათის. ბუნებრივია, ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია პრობლემის სერიოზულ ამომწურავ კვლევაზე, მაგრამ ჩვენი მოკრძალებული ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ მათ შორის

საერთო გაცილებით მეტია და არსებითი, ვიდრე განსხვავება. ეს არის არსებითი სახელებისა და ზმნების ერთიანი მორფო-სინტაქსური სისტემა და მახასიათებლები; ორივე ენაში იდენტურია ნაცვალსახელთა მრავალრიცხოვანი და ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო სისტემა; ერთი და იმავე კატეგორიალურ წესებს ექვემდებარება ზმნიზდები და ზედსართავი სახელები და უფრო მეტიც, რაც უფრო მეტად რთულია წინადადების აგებულება, მით უფრო ნაკლებად არის იმის შანსი, რომ ბრიტანული წინადადება იქნება რაიმეთი სტრუქტურულად განსხვავებული ამერიკული წინადადებისგან. ეს ყველაფერი კი იძლევა იმის დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ამერიკული ინგლისური წარმოადგენს არა ცალკე დამოუკიდებელ ენას, არამედ ბრიტანული ინგლისურის ვარიანტს.

#### **§ 4. ლექსიკური განსხვავებები ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურში**

ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის ლექსიკური განსხვავებები სჭარბობს გრამატიკულ განსხვავებებს, გრამატიკული განსხვავებების ძიებისას ხომ აღმოჩნდა, რომ ბევრი მაგალითის მოძიება ძალზე რთული იყო და შრომატევადი. რაც შეეხება ლექსიკას, აქ შეიძლება მაგალითების უხვად მოძიება. პრობლემას მხოლოდ ის წარმოადგენს, თუ როგორ მოვიძიოთ და აღვწეროთ ლექსიკურ წყვილებს შორის არსებული განსხვავებები. ენობრივი მასალა გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ სამი ტიპის ლექსიკა. მოცემულ თავში სწორედ ამ სამი ტიპის ლექსიკაზე გვექნება საუბარი. ნაშრომის ბოლოს ვურთავთ ექვივალენტური მნიშვნელობის ამერიკული და ბრიტანული სიტყვების შედარებით ვრცელ სიას. რა თქმა უნდა, მოცემული სია არ არის სრულყოფილი და ამომწურავი, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი წარმოაჩენს ყველაზე ცნობილ განსხვავებებს ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურს შორის.

##### **4.1 ბირთვულ სიტყვათა ფონდი**



ლექსიკაზე საუბრისას, საჭიროა პირველ რიგში გამოვყოთ სიტყვების ის ფონდი, რომელიც მოიცავს ინგლისური ენის ვოკაბულარის ძირითად ნაწილს. ასეთი ტიპის ლექსიკა გვაქვს როგორც ამერიკულ, ისე ბრიტანულ ინგლისურში. ეს არის ისეთი ბაზური სიტყვები, როგორცაა man, woman, fish, sky, tree, day, week, mathematics, green, hot, smell, circular, epidermis და კიდევ ათასობით სიტყვა, რომლებიც საერთოა ინგლისური ენის ორივე ვარიანტისთვის. შესაბამისად, ეს ლექსიკური ერთეულები რელევანტურია ამერიკული და ბრიტანული ინგლისურის განუყოფლობის დასადასტურებლად.

მათი დიფერენციალური (განმასხვავებელი) თავისებურებების წარმოსაჩენად კი მნიშვნელოვნად გვესახება ლექსიკის შეპირისპირება ორი პარამეტრის მიხედვით, რომლის შესაბამისადაც გამოვყოფთ ორ მნიშვნელოვან პლასტს მათ ვოკაბულარში. ქვემოთ გთავაზობთ მათ მოკლე მიმოხილვას.

## 4.2 საერთო ცნებები და განსხვავებული სიტყვები

ლექსიკის მეორე პლასტს მიეკუთვნება ის სიტყვები, რომლებიც ერთ ცნებას განსხვავებული სიტყვებით გამოხატავენ ბრიტანულსა და ამერიკულ ინგლისურში, რაც ამ ქვენების ეთნო- და სოციოკულტურული ფაქტორებით არის განპირობებული. საქმე იმაშია, რომ ორივე ქვეყნის სინამდვილეში საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება რეალიები, რომლებიც არსებობს ორივე, ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურში, მაგრამ მათ აღსანიშნად იყენებენ ორ სხვადასხვა ინგლისურ სიტყვას. ეს არის ის ლექსიკა, რომელიც ხიბლავს ადამიანს პირველად შეხვედრისას და, რომელიც ქმნის საინტერესო მასალას პოპულარული ბრიტანული და ამერიკული ხუმრობებისთვის. გრამატიკისგან განსხვავებით, ლექსიკა არ მოითხოვს სპეციალურ ერუდიციას იმისათვის, რომ დავაკვირდეთ განსხვავებებს ამერიკულ და ბრიტანულ სიტყვებს შორის. ნებისმიერი წიგნიერი ადამიანი ადვილად აღმოაჩენს მისთვის უცნობ სიტყვებს, ან უკვე ცნობილ სიტყვებს გამოყენებულს ახალ, უჩვეულო გარემოში. მაგალითად, ბრიტანულ სიტყვას

"trousers" ("შარვალი") ამერიკულ ინგლისურში შეესაბამება ლექსემა "pants", რომელიც ბრიტანულში ტრუსის მნიშვნელობით გამოიყენება ("underpants"); მაშინ როდესაც ტრუსის აღსანიშნავად ამერიკულ ინგლისურში იხმარება სიტყვა "shorts", რომელიც ბრიტანულ ინგლისურში გულისხმობს "შორტებს". ანალოგიურად, ამერიკულ სიტყვას "vest" ("ჟილეტი") კონცეპტუალურად შეესაბამება ბრიტანული "waistcoat", რადგანაც ბრიტანულ ეთნოკულტურაში არსებული ლექსემა "vest" პერანგის შიგნით ჩასაცმელი მაისურის მნიშვნელობით გამოიყენება, მაშინ როდესაც ამერიკულ ინგლისურში ამ ცნებას უკვე სიტყვა "underwear" გამოხატავს.

უაღრესად საინტერესოა ავტომობილთან დაკავშირებული ცნებების გამომხატველ სიტყვათა შეპირისპირებითი ანალიზი ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურში:

**British English:**

**American English:**

"car"

"automobile" / "auto"

"boot"

"trunk"

"bonnet"

"hood"

"bumpers"

"fenders"

"hood"

"top"

"mudguards"

"wings"

"sparking plugs"

"spark plugs"

"petrol"

"gasoline"

ამერიკულ ინგლისურში მანქანის დაქირავებისას იყენებენ ტერმინს "to rent", ბრიტანულ ინგლისურში კი "to hire". ორივე ეს ტერმინი გამოიყენება როგორც ამერიკულ, ასევე ბრიტანულ ინგლისურში, მაგრამ ისინი განსხვავდებიან ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით. ბრიტანულ ინგლისურში ზმნა "to hire" გამოიყენება მანქანის, დარბაზის, პირადი მცველისა და ტანსაცმლის დროებით ქირაობისათვის, მაშინ როდესაც ზმნა "to rent" ბრიტანულ ინგლისურში გამოიყენება საცხოვრებელი ადგილის ქირაობისას:

**BE:** "I'm going to hire a hall for next Monday's meeting".

**BE:** "I've hired a dinner-jacket".

**BE:** "Do you rent your house?"

ამერიკულ ინგლისურში კი ზმნა to rent გამოიყენება მეტი სიხშირით, მაშინ როცა to hire ჩვეულებრივ გამოიყენება თანამშრომლების დაქირავების მიზნით.

AE: “The company has just hired ten extra men”.

„გზები“ ქმნიან კიდევ ერთ მნიშვნელოვან წყაროს განსხვავებებისა ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურს შორის. ბრიტანულ ინგლისურში არსებობს მხოლოდ ერთი ტერმინი “motorway”, რომელიც გულისხმობს შეზღუდული მოძრაობის მაგისტრალურ გზას. ამერიკულ ინგლისურში კი არსებობს მთელი რიგი ტერმინებისა, რომლებიც განასხვავებენ ერთმანეთისგან სხვადასხვა ტიპის გზას: “expressway”, “freeway”, “parkway”, “thruway”, “turnpike”, etc. სიტყვა “wreck” (“ავარია”) ბრიტანულ ინგლისურში გამოიყენება გემებთან და ზღვასთან დაკავშირებით, მაშინ როცა ამერიკულ ინგლისურში იგი იხმარება საგზაო ავარიების აღსანიშნავად; ამ უკანასკნელს კი ბრიტანულში შეესაბამება სიტყვა “crash”. ვაშინგტონის რადიო სადგურის განცხადება: ”There’s a bad wreck on the parkway”, ლონდონში იქნებოდა: ”There’s a bad crash on the motorway”. ამერიკულ ინგლისურში wrecking truck არის მასიური სახეობა მანქანისა, რომელიც გამოიყენება გზების განწმენდითი სამუშაოებისას. ბრიტანულ ინგლისურში კი “wrecking” ყოველთვის გულისხმობს “causing wrecks”.

როგორც მოგეხსენებათ, ამერიკისა და ბრიტანეთის განათლების სისტემა განსხვავდება ერთმანეთისგან, რასაც მივყავართ განსხვავებულ ტერმინებთან. ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ხმარებადი სიტყვაა “school”, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურში. ორივე შემთხვევაში “school is a place of education for young children”. მაგრამ “public school” (საჯარო სკოლა) ბრიტანეთში არის კერძო სკოლა, რომელიც არის ფასიანი. ამერიკაში კი public school არის უფასო სახელმწიფო სკოლა. ამერიკულ “grade school”-ს თითქმის შეესაბამება ბრიტანული “elementary school”. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბრიტანულ ინგლისურში ტერმინი “school” არასდროს გამოიყენება უნივერსიტეტის ან კოლეჯის მნიშვნელობით. ბრიტანულ ინგლისურში ზმნა “to graduate” ნიშნავს უნივერსიტეტის, პოლიტექნიკუმის ან კოლეჯის დამთავრებას. ეს ტერმინი არასდროს არ გამოიყენება სკოლის დამთავრებისას (to leave school), რაც ამერიკულ ინგლისურში ფართოდაა მიღებული. ბრიტანეთში სასწავლო

წელი იყოფა სამ პერიოდად (“three terms”), მაშინ როცა ამერიკული სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად (“two semesters”). ბრიტანელმა სტუდენტმა უნდა ისწავლოს სამი წელი ხარისხის მისაღებად (“first”, “second” and “final years”), მაშინ როცა ამერიკელი სტუდენტი სწავლობს ოთხი წელი (“freshman”, “sophomore”, “junior” and “senior”). ბრიტანეთსა და ამერიკაში არსებობს ძირითადი და არჩევითი საგნები (BE: “main” და “subsidiary”; AE: “majors” და “electives”). ამერიკაში სტუდენტი ხარისხის მისაღებად აგროვებს სასწავლო კრედიტებს, რაც თანამედროვე ბრიტანეთისათვის უცხოა.

“Postgraduate” არის ბრიტანელი სტუდენტი, რომელსაც მინიჭებული აქვს პირველი ხარისხი განათლებისა, ჩვეულებრივ ეს არის ბაკალავრის ხარისხი. აღნიშნული სიტყვის ამერიკული ექვივალენტია “graduate”. ბრიტანეთში, ისინი ვინც ასწავლიან უნივერსიტეტებში ეწოდებათ “faculty”, ამერიკაში კი “staff” ან “academic staff”.

<b>American</b>	<b>British</b>
“(full) Professor”	“Professor”
“Associate Professor”	“Reader “
“Assistant Professor”	“Senior Lecturer”
“Instructor”	“Lecturer”

მსგავსი მაგალითების მოყვანა ძალზედ შორს წაგვიყვანს. ჩვენი ნაშრომის თემიდან გამომდინარე კი საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ლექსიკურ განსხვავებებს საფუძვლად უდევს კულტურული სხვაობა ბრიტანულ და ამერიკულ საზოგადოებებს შორის. რთულია იმ მაგალითების მოძიება, რომლებიც წმინდად აღწერენ ლინგვისტურ განსხვავებებს ინგლისური ენის ამ ორ ძირითად ვარიანტს შორის.

### 4.3 სიტყვები, რომელთაც არ გააჩნიათ ექვივალენტი

ლექსიკის მესამე კატეგორიას ქმნის ის რეალიები და მათი აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ერთ ქვეყანაში არსებობს და სხვაგან არ მოიპოვება. ადვილი მისახვედრია, რომ ლექსიკის ამ პლასტს მიეკუთვნება მცენარეების, ცხოველების, წეს-ჩვეულებების, პოლიტიკური წყობის თუ სპორტული თამაშებისათვის საჭირო ტერმინოლოგიურისიტყვები, რომლებიც არსებობს ან მხოლოდ ამერიკულ

სინამდვილეში ან არსებობს მართო ბრიტანულ ეთნოკულტურაში. მაგალითად, ბრიტანული “wicket”, “fast bowler”, “silly mid-off” (ტერმინები კრიკეტიდან), ან ამერიკული “pitcher”, “home run”, “doubleheader” (ტერმინები ბეისბოლიდან). ბრიტანული ინგლისური კვლავაც რჩება მონარქიული სახელმწიფოს ენად: “queen”, “prince”, “princess”, “duchess”, etc, მაშინ როცა ამერიკა საპრეზიდენტო სახელმწიფოა: “precinct” (“a political constituency”), “primary” (“election for the selection of Presidential candidates”), “ticket” (“set of political aims, or names”), etc.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინგლისურენოვანი კულტურები, ბრიტანული და ამერიკული, ფლობენ არა მართო დიდი რაოდენობით საერთო სიტყვებს, არამედ განსხვავებულ ტერმინებსაც, რომლებიც არიან თითქმის ექვივალენტური. ამავდროულად, თითოეულ მათგანს გააჩნია პატარა ჯგუფი სიტყვებისა და გამონათქვამებისა, რომელნიც არიან ექსკლუზიური, ანუ მხოლოდ ბრიტანულის ან ამერიკულის საკუთრება, თუმცა ასეთი ტიპის ლექსიკა ძირითადად მოიცავს ტერმინოლოგიას.

## § 5. ამერიკული და ბრიტანული მართლწერის თავისებურებები

ამერიკულ და ბრიტანულ მართლწერას შორის განსხვავებები რამოდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის სწორედ ამერიკული ინოვაციები. ელიზაბეტიანური ინგლისური, რომელიც ამერიკული და ბრიტანული ინგლისურის ორიგინალ წყაროს წარმოადგენს, უფრო მეტი ვარიანტების საშუალებას იძლეოდა მართლწერის კუთხით, ვიდრე ეს ნებადართულია დღეს. შესაბამისად ზოგ შემთხვევაში ბრიტანული და ამერიკული სიტყვის მართლწერის არჩევანი საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

ამერიკული ინგლისურის მართლწერაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ნოე ვებსტერმა (Noah Webster), რომელმაც 1806 წელს გამოსცა ერთ-ერთი პირველი ავტორიტარული ლექსიკონი - “Compendious Dictionary of the English Language”, სადაც მოცემულია

მართლწერის რეფორმის მთელი რიგი ვარიანტები. მაგალითად, ნოე ვებსტერის სახელს უკავშირდება ”-u-“ ხმოვნის ამოვარდნა ისეთ სიტყვებში, რომლებიც ბოლოვდებიან -our-ზე (“colour”-“color”, “hohour”-“honor”, და ა.შ.); მეორე თანხმონის დაკარგვა სიტყვებში, როგორცაა “traveller”-“traveler”, “waggon”-“wagon” და სხვა, ასევე მის სახელს უკავშირდება -re დაბოლოების შეცვლა -er დაბოლოებით ფრანგული წარმოშობის სიტყვებში (“theatre”-“theater”, “centre”-“center”).

ამერიკულ ინგლისურში ჩვეულებრივ მიღებულია ზმნური სუფიქსის მართლწერა -ize ვიდრე -ise ისეთ სიტყვებში, როგორცაა “italicize”, “naturalize”, “advertize”. ბრიტანულ ინგლისურში კი ნებადართული ამ სუფიქსის მართლწერის ორივე ვარიანტი. ამერიკაში ხშირად შეხვდებით სარეკლამო აბრას “DANCING TOHITE”, რაც ბრიტანულ ინგლისურისათვის უცხოა. ქვემოთ მოგვყავს იმ სიტყვების სია, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურში. ეს სია, რა თქმა უნდა, არ არის ამომწურავი, მაგრამ იგი მაინც მოიცავს ძირითად საინტერესო მაგალითებს:

**American spelling**

“aluminum”  
 “catalog“  
 “check”  
 “color”  
 “honor”  
 “humor”  
 “jail”  
 “jeweler”  
 “leveled”  
 “traveling”  
 “install”  
 “fulfillment”  
 “jewelry”  
 “pajamas”  
 “plow”  
 “defense”  
 “offense”

**British sprlling**

“aluminium”  
 “catalogue”  
 “cheque”  
 “colour”  
 “honour”  
 “humour”  
 “gaol”  
 “jeweller”  
 “leveled”  
 “travelling”  
 “install”  
 “fulfillment”  
 “jewellery”  
 “pyjamas”  
 “plough”  
 “defence”  
 “offence”

“pretense”	“pretence”
“license” (noun and verb)	“license” (verb)
	“Licence” (noun)
“practice”	“practice” (verb)
	“practise” (noun)
“program”	“programme”(general word)
	“program” (computer)
“siphon”	“siphon”
“specialty”	“speciality”
“specter”	“spectre”
“theater”	“theatre”
“tire” (or a wheel)	“tyre”

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინოვაციების ტენდენცია როგორც ლექსიკის, ასევე მართლწერის თვალსაზრისით, ამერიკულ ინგლისურში უფრო შეინიშნება ვიდრე ბრიტანულ ინგლისურში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, უაღრესად საინტერესოა სხვადასხვა გამოკითხვების შედეგები, რომლებმაც აჩვენეს, რომ ამერიკული ინგლისური უფრო ადვილად სწავლადია, ანუ უფრო აქცეპტაბელურია, ვიდრე ბრიტანული. ამასთან დაკავშირებით გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ქვირჩისა და უილოუსონის (Quirk & Widdowson 1985) მიერ განხორციელებულ კვლევაზე, რომელიც ეფუძნება ინტერვიუსა და კითხვარის ფორმის გამოკითხვას. მასში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პროფესიის 25-დან 55 წლის ასაკამდე ადამიანებმა. მონაწილეებს მიეცათ ტიპური გრამატიკული, ლექსიკური და მართლწერის მაგალითები ამერიკული და ბრიტანული ინგლისურიდან და სთხოვეს ენობრივი მოვლენები შეეფასებინათ თავიანთი გამოცდილების გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს რესპონდენტებს სთხოვეს ყურადღება გაემახვილებინათ ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურს შორის არსებულ განსხვავებებზე და აღენიშნათ, რომელი ვარიანტი მიაჩნდათ შედარებით ადვილად დასამახსოვრებლად და ასათვისებლად, და აქედან გამომდინარე, გლობალური სტატუსის მისაღებად. გამოკითხვა დამყარებული იყო ვარაუდზე, რომ ინგლისური ენის შესაძლო გლობალური სტანდარტი, სრულად თუ არა ნაწილობრივ მაინც, დაფუძნებული იქნება მისი ამ ორი

ძირითადი ვარიანტის აქცეპტაბელურობაზე, ანუ შესაწავლისუნარიანობაზე. ამ კვლევის შედეგების გაზოგადების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

1. რესპოდენტების 87% უპირატესობას ანიჭებს ამერიკული ინგლისურის მართლწერის წესებს ბრიტანულთან შედარებით;
2. 74% ამერიკული ინგლისურის გრამატიკას არჩევს;
3. გამოკითხულთა 65% ამბობს რომ მორფოლოგიურად ამერიკული ინგლისური უფრო ადვილად სწავლადაა, ვიდრე ბრიტანული. ეს ეხება როგორც სიტყვანარმოებითი აფიქსების (პრეფიქსებისა და სუფიქსების), ისე ფორმანარმოებითი ანუ გრამატიკული ფლექსიების გამოყენებას;
4. მცდელობისას განესაზღვრათ ამერიკული ინგლისურის შესწავლისუნარიანობის ეფექტურობის მთავარი კომპონენტი, გამოკითხულთა 74% -მა დაასახელა მისი ტენდენცია გამარტივებისკენ;
5. ამერიკული ინგლისური აღნიშნული იყო როგორც დონორი ენა, რომელიც გამოირჩევა ნეოლოგიზმების მრავალფეროვნებით და რომელიც მრავალ სხვა ენაში ეფექტურად ინტეგრირდება. შეიძლება ითქვას რომ, ამერიკული ინგლი-სურის ეს თვისება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მის გავრცელებას მთელ მსოფლიოში იმ მრავალფეროვანი სიტყვების საშუალებით, რომლებიც ეკუთვნის ტექნიკური ინოვაციების, პოპ კულტურის და სხვა სფეროებს. ამ სფეროებში ამერიკული ინგლისურის დომინანტურ როლს აღნიშნავს რესპოდენტთა 74% ;
6. რესპოდენტთა 81% -მა ამერიკული ინგლისური მიიჩნია როგორც უფრო მოქნილი მის ბრიტანულ ვარიანტთან შედარებით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მისი გავრცელების შესაძლებლობას;
7. რესპოდენტთა 78% მხარს უჭერს ამერიკული ინგლისურის წარდგენას ეროვნული უცხო ენის კურიკულუმში;
8. და ბოლოს, რესპოდენტთა 81% ფიქრობს, რომ ინგლისური ენის გლობალური სტანდარტი დაფუძნებული უნდა იყოს ამერიკულ ინგლისურზე.



ამ და სხვა მსგავსი კვლევების (რომლებიც ჩატარდა კორეა, ჩინეთი, თურქეთი, გერმანიასა და პორტუგალიაში) განზოგადების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორედ ამერიკული ინგლისურია მიჩნეული ლინგვისტურად მისაღებად მისი პოტენციური მომხმარებლების მიერ. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ამერიკული ინგლისურის როგორც ლიდერი ქვეყნის ენის სტატუსის გლობალიზაციაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერებასთან ერთად, წარმოადგენს მისი ათვისებადობა ანუ ბრიტანულ ინგლისურთან შედარებით მისი სიმარტივე, რაც აიოლებს მის შესწავლას.

## დასკვნები:

ამრიგად, ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები შეიძლება განზოგადდეს შემდეგი დასკვნების სახით:

1. კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ინგლისური ენა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ენათა რიცხვს მიეკუთვნება. ინგლისური ენის გლობალიზაციის გამომწვევ მიზეზებად განვიხილავთ მიგრაციას და კოლონიალურ პოლიტიკას, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესს, კომპიუტერულ რევოლუციას და აშშ-ს პოლიტიკური რეიტინგის ზრდას. მოცემულმა მიზეზებმა თავის მხრივ დიდი ზეგავლენა მოახდინა როგორც ბრიტანულ, ასევე ამერიკულ ინგლისურზე.
2. წლების განმავლობაში ინგლისური ენა სხვადასხვა გზით ვითარდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ბრიტანეთში, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია ინგლისური ენის ორი ძირითადი ვარიანტის ჩამოყალიბება. ისინი ერთმანეთისგან

განსხვავდებიან ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკური, მართლწერის, პუნქტუაციისა და იდიომების გამოყენების თვალსაზრისით. არსებობს მცირე ჯგუფი სიტყვებისა, რომელთაც აქვთ აბსოლუტურად სხვადასხვა მნიშვნელობები ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურში.

3. ამერიკული ინგლისური სათავეს იღებს ელიზაბეტინური ინგლისურის დროიდან, რომელიც ხასიათდებოდა აქცენტებისა და დიალექტების უფრო მეტი მრავალფეროვნებით, ვიდრე თანამედროვე ბრიტანული ინგლისური. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამერიკულ ინგლისურს საფუძვლად უდევს ინგლისური ენის არა რომელიმე კონკრეტული სტანდარტული ფორმა, არამედ ლოკალური აქცენტების და დიალექტების ფართო კოლექცია. ამერიკულ ინგლისურში დღესაც მრავლად მოიპოვება იმ დროს ნასესხები სიტყვები ლათინურიდან და ბერძნულიდან.

4. ამერიკული ინგლისურის ფორმირება მიმდინარეობდა ფრანგული, ესპანური, ჰოლანდიური, ჩრდილო ამერიკული, აბორიგენი ინდიელების ენების, ფიჯინისა და კრეოლის გავლენის ქვეშ. აფრიკული ენების გავლენა შედარებით ნაკლებად შეიმჩნევა, მიუხედავად შავკანიანი მონების მრავალრიცხოვნობისა.

5. ბოლო 30 წელია, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში აღიარებულ იქნა “Black English” - ის არსებობა, თუმცა საუკუნეზე მეტია, რაც ზანგი მოსახლეობა საუბრობს ამ დიალექტზე. მიუხედავად იმისა, რომ ის მრავალი წლის განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა და მშობლიური ენა იყო და არის მილიონობით ამერიკელისათვის, “Black English” იგნორირებას განიცდიდა მთელი ამ ხნის განმავლობაში. ის სრულიად მოულოდნელად გადაიქცა მთელი შავკანიანი მოსახლეობის კულტურულ ფასეულობად.

6. ამერიკული ინგლისური ღიაა ყოველგვარი ინოვაციებისათვის, მაშინ როცა ბრიტანეთში ენისადმი კონსერვატიული მიდგომა ჯერ კიდევ ძლიერია. ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის არსებული განსხვავებების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ესაა. სიტყვებისა და გამონათქვამების ახალი წარმონაქმნები განსაკუთრებით ძლიერი იყო მე-19 და მე-20 საუკუნეების ამერიკაში, რაც განპირობებულია მეცნიერებისა და

ტექნიკის სწრაფი პროგრესით, კომპიუტერული რევოლუციით და პოლიტიკური კულტურის სიახლეებით.

7. ჩვენს ნაშრომში ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის არსებულ განსხვავებებს საფუძვლად უდევს სტანდარტული ინგლისური ენა. ეს არის ინგლისური ენის საერთაშორისოდ მიღებული ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია გარკვეული სტანდარტული ტიპის ლექსიკურ-გრამატიკულ და ფონეტიკურ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა.

8. ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე, ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის არსებული ძირითადი გარამატიკული განსხვავებები დავეყავით სამ ჯგუფად:

- ზმნასთან დაკავშირებული განსხვავებები;
  - არსებით სახელთან და ნაცვალსახელთან დაკავშირებული განსხვავებები;
  - წინდებულთან დაკავშირებული განსხვავებები;

9. ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის ლექსიკური განსხვავებები სჭარბობს გრამატიკულს, რაც განპირობებულია როგორც შესაბამის საზოგადოებებს შორის არსებული სოციოკულტურული და პოლიტიკური სხვაობით, ასევე ამ ქვეყნების რეალიებით. ემპირიული მასალის განზოგადების საფუძველზე, ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ ლექსიკის დიფერენცირება სამ ძირითად ტიპად. ესენია: ა) ბირთვულ სიტყვათა ფონდი, ბ) საერთო ცნებები და განსხვავებული სიტყვები, გ) სიტყვები, რომელთაც არ გააჩნიათ ექვივალენტი.

10. ამერიკულ და ბრიტანულ მართლწერას შორის განსხვავებების ძირითად ფაქტორად კი ამერიკულ ინოვაციებს განვიხილავთ, რომლებიც გამარტივებისკენ არის ორიენტირებული.

11. კვლევის შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ, მიუხედავად ჩვენს მიერ გამოვლენილი ლექსიკურ-გრამატიკული და მართლწერითი თავისებურებებისა, ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურს უფრო მეტი საერთო აქვთ, ვიდრე განმასხვავებელი ნიშან-თვისება: საერთოა მათი სტრუქტურული ანუ მორფო-

სინტაქსური წყობა, ძირითადი ლექსიკური შედგენილობა და დამწერლობა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ამერიკული ინგლისური ცალკე ენას კი არ წარმოადგენს, არამედ ბრიტანულის ვარიანტად განიხილება.

12. ამრიგად, ბრიტანული და ამერიკული ინგლისურის ურთიერთგავლენა შეიძლება დავყოთ ოთხ ძირითად ფაზად:

- თავდაპირველად კოლონიალურ ამერიკაში დომინანტი იყო ბრიტანული ენა.
- ამერიკის დამოუკიდებლობიდან პირველ მსოფლიო ომამდე, როდესაც მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული ინგლისური გამოირჩეოდა ორიგინალურობით, ის მაინც ითვლებოდა ბრიტანული ინგლისურის "უმცროს პარტნიორად".
- მესამე ფაზა გულისხმობს თანამედროვე მიდგომას ამერიკული ინგლისურისადმი. როდესაც იგი ითვლება ბრიტანული ინგლისურის თანასწორუფლებიან ვარიანტად.
- და ბოლოს, დღევანდელი ამერიკანიზაციის ფაზა, როდესაც ამერიკული ინგლისური თავისი მოქნილობითა და შედარებითი სიმარტივით პრეტენზიას აცხადებს ინგლისური ენის გლობალურ სტანდარტზე.

13. ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, უაღრესად საინტერესოა სხვადასხვა გამოკითხვების შედეგები, რომლებმაც აჩვენეს, რომ ამერიკული ინგლისური უფრო ადვილად სწავლადაა, ანუ უფრო აქცეპტაბელურია, ვიდრე ბრიტანული. ამასთან დაკავშირებით რელევანტურად მიგვაჩნია ქვირქისა და უილოუსონის (Quirk & Widdowson 1985) მიერ განხორციელებული კვლევა, რომელიც ეფუძნება ვარაუდს, რომ ინგლისური ენის შესაძლო გლობალური სტანდარტი, სრულად თუ არა ნაწილობრივ მაინც, დაფუძნებული იქნება მისი ამ ორი ძირითადი ვარიანტის აქცეპტაბელურობაზე, ანუ შესაწავლისუნარიანობაზე. ამ კვლევის შედეგების გაზოგადების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

14. რესპოდენტების 87% უპირატესობას ანიჭებს ამერიკული ინგლისურის მართლწერის წესებს ბრიტანულთან შედარებით;

15. 74% ამერიკული ინგლისურის გრამატიკას არჩევს;

16. გამოკითხულთა 65% ამბობს რომ მორფოლოგიურად ამერიკული ინგლისური უფრო ადვილად სწავლადაა, ვიდრე ბრიტანული. ეს ეხება როგორც სიტყვანარმოებითი აფიქსების (პრეფიქსებისა და სუფიქსების), ისე ფორმანარმოებითი ანუ გრამატიკული ფლექსიების გამოყენებას;

17. მცდელობისას განესაზღვრათ ამერიკული ინგლისურის შესწავლისუნარიანობის ეფექტურობის მთავარი კომპონენტი, გამოკითხულთა 74% -მა დაასახელა მისი ტენდენცია გამარტივებისკენ;

18. ამერიკული ინგლისური აღნიშნული იყო როგორც დონორი ენა, რომელიც გამოირჩევა ნეოლოგიზმების მრავალფეროვნებით და რომელიც მრავალ სხვა ენაში ეფექტურად ინტეგრირდება. შეიძლება ითქვას რომ, ამერიკული ინგლისურის ეს თვისება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მის გავრცელებას მთელ მსოფლიოში იმ მრავალფეროვანი სიტყვების საშუალებით, რომლებიც ეკუთვნის ტექნიკური ინოვაციების, პოპ კულტურის და სხვა სფეროებს. ამ სფეროებში ამერიკული ინგლისურის დომინანტურ როლს აღნიშნავს რესპოდენტთა 74% ;

19. რესპოდენტთა 81% -მა ამერიკული ინგლისური მიიჩნია როგორც უფრო მოქნილი მის ბრიტანულ ვარიანტთან შედარებით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მისი გავრცელების შესაძლებლობას;

20. რესპოდენტთა 78% მხარს უჭერს ამერიკული ინგლისურის წარდგენას ეროვნული უცხო ენის კურიკულუმში;

21. და ბოლოს, რესპოდენტთა 81% ფიქრობს, რომ ინგლისური ენის გლობალური სტანდარტი დაფუძნებული უნდა იყოს ამერიკულ ინგლისურზე.

ამ და სხვა მსგავსი კვლევების განზოგადების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორედ ამერიკული ინგლისურია მიჩნეული ლინგვისტურად მისაღებად მისი პოტენციური მომხმარებლების მიერ. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ამერიკული ინგლისურის როგორც ლიდერი ქვეყნის ენის სტატუსის გლობალიზაციაში ერთ-ერთ

მნიშვნელოვან ფაქტორს მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და სამხედრო ძლიერებასთან ერთად, წარმოადგენს მისი აქცეპტაბელურობა ანუ ბრიტანულ ინგლისურთან შედარებით მისი სიმარტივე, რაც აიოლებს მის შესწავლას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ღლონტი, დ.** ამერიკული ინგლისურის განვითარების პერსპექტივა და შეფასება გლობალურ კონტექსტში. In: საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის სართაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ №1 (36), თბილისი, 2010, გვ. 128-131.
2. **Abbas, Sh.** “The Power of English in Pakistan”. Cambridge University Press. 1993.
3. **Bailey, R.W. & Gortlach, M.** English as a world language. Ann Arbor: University of Michigan Press. 1982.
4. **Bamgbose, A.** Standard Nigerian English: Issue of identification 1982. In: B. Kachru. The Other Tongue: English across cultures (2<sup>nd</sup> ed.). Urbana: University of Illinois Press. 1992: 99–111.
5. **Kachru, B.B.** Introduction: The Other Side of English. In B.Kachru, The Other Tongue: English across cultures (pp.1-15). Urbana: University of Illinois Press. 1992.
6. **Kachru, B.B.** The second diaspora of English. N. Y.: Oxford University Press. 1992.
7. **Kennedy, G.** Commentator 1. – In: R. Quirk & H. Widdowson (Eds.). English in the world: Teaching and Learning the Language and Literatures (pp.7-8). Cambridge: Cambridge University Press. 1985.
8. **Lowenberg, P.H.** Issues of validity in tests of English as a world language: Whose standards? World Englishes, 12(1), 95-106. 1993.

9. **Mencken, H.L.** The American Language: An inquiry into the development of English in the United States. New York: Knopf. 1967.
10. **Phillipson, R.** Linguistic imperialism. London: Oxford University Press. 1992.
11. **Platt, J., Weber H. & Lian, H.M.** The New Englishes . London: Routledge. 1984.
12. **Quirk, R.** The English language in a global context. In R.Quirk & H. Widdowson (Eds.) English in the world: Teaching and Learning the Language and Literature (pp.1-6). Cambridge: Cambridge University Press. 1985.
13. **Quirk, R. & H. Widdowson (Eds.)** English in the world: Teaching and Learning the Language and Literature. Cambridge: Cambridge University Press. 1985.
14. **Schlauch M.** The English Language in Modern Times. London: Oxford University Press. 1959.
15. **Selinker, L.** Rediscovering interlanguage. London: Longman. 1992.
16. **Smith, L.E. (Ed.)** Discourse across cultures: Strategies in world Englishes. London: Prentice Hall. 1987.
17. **Strevens, P.** "British and American English". London.1981.
18. **Wolfram W. & Clarke N.H. (eds).** Black-White Speech Relationships. Washington B.C. Centre for Applied Linguistics. 1971.